# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ხუთშაბათი, 1 ივნისი. 2023 წ. №63 (9595) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


### დაიცავი თქვენი სამართალი!

# გეკუთვნით, მაგრამ... არ გეკუთვნით!!!





## საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს!

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ასათიანს!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ საკუთარ მრავალრიცხოვან მკითხველთან და ყველასგან გამორჩეულ გონიერ ავტორებთან ერთად მხარს უჭერს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ახალ გამგეობას და კავშირის ახალ თავმჯდომარეს – სიმართლისთვის, ზნეობისთვის, ჟურნალისტური ეთიკის დამკვიდრებისთვის გამორჩეულ მებრძოლს, გამომცემლობა „სამშობლოს“ გამოხსნისთვის, სააკაშვილის მტაცებლურ რეჟიმთან პირადი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ლამის შემწირველ (გამომცემლობის წინ ორკვირიანი შიმშილობის შემდეგ ის ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს), შესანიშნავ რედაქტორს და პუბლიცისტს, „რეპორტიორის“ გენერალურ დირექტორს, სამი შვილის მამას გიორგი მამაცაშვილს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისის გადარჩენისთვის გამართულ დაუნდობელ ომში!

ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისის (600 კვ.მ) აუქციონზე გაყიდვას ითხოვს აღსრულების ეროვნული ბიურო ამ კავშირის ყოფილი თანათავმჯდომარის, ადვოკატ-ჟურნალისტის გიორგი ჟორჟოლიანის გაყალბებული, მაგრამ საკუთარი თავისთვის კარგად „მოვარგებული“ დოკუმენტებისა და სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს უცნაური, ერთდროულად სასაცილო და სატირალი გადაწყვეტილების (**ბატონ ჰამლეტ გეგიას ხელმოწერას არც უარვყოფთ და არც ვადასტურებთ!**) გამო!

ჰამლეტ გეგია ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა 2014 წლის მიწურულს, მისმა თანათავმჯდომარემ თუ მოადგილემ გიორგი ჟორჟოლიანმა, რომელიც ფუნქციების და სავარაუდოდ ფინანსების ვერგაყოფის გამო, დანასისხლად იყო გადაკიდებული ჰამლეტ გეგიაზე და ბოლო რამდენიმე წელიწადი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა, გარდაცვლილის დაკრძალვიდან მეორე დღესვე მან გეგიას ოჯახიდან დაითრია ჟურნალისტთა კავშირის ბეჭედი და... გამგეობის რამდენიმე წევრი ოფისში გვიხმო შუალედური დოკუმენტის შესადგენად!

„ჟურნალისტთა კავშირის გადარჩენის“ მიზნით, გამგეობის ათიოდე წევრმა (კვორუმი მაინც არ იყო!), ბუნებრივია, კოლეგას ხელი მოვუწერეთ ბრძანებაზე და დროებით თავმჯდომარის მოვალეობა დავაკისრეთ... მერე აღმოჩნდა, რომ ბრძანებაზე ხელის მომწერთაგან სამი კაცი ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები არ ვყოფილვართ და... არავითარი უფლება არ გვქონდა დოკუმენტზე ხელის მოწერისა!

ყალბად შექმნილი დოკუმენტი ათი დღის შემდეგ კი გავაუქმეთ, მაგრამ... გიორგი ჟორჟოლიანს დარჩა ჰამლეტ გეგიასგან სიკვდილის წინა დღეებში გაცემული „ცნობა“, რომ ჟურნალისტთა კავშირს ბატონი გიორგის ათეული ათასობით ლარი სახელფასო დავალიანება აქვს! იგივე რაოდენობის დავალიანება აქვს კავშირს კიდევ ერთი თანათავმჯდომარის ირაკლი თოდუას მიმართ, რომელიც 5 წლის განმავლობაში არამც თუ ყოველდღიურად სამუშაოდ, არამედ გამგეობის სხდომებზეც კი იშვიათად გამოჩნდებოდა! ირ. თოდუაც, სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს!.

ჰოდა, ცხონებული ჰამლეტ გეგიას „ცნობით“, რომლის ნამდვილობა ეროვნულმა ბიურომ თან ცნო, თან უარყო („ეკუთვნის, მაგრამ, არ ეკუთვნის), სასამართლო გადაწყვეტილებით (პროცესები თითქმის 3 წელიწადს გრძელდებოდა!!!), მოვალე გიორგი ჟორჟოლიანი, ირაკლი თოდუას ოჯახი და... კიდევ ერთი, ჟორჟოლიანისგან ბოლო ხანს შეგულიანებული ადვოკატი მონიკა რუხაძე პანდემიის შემდეგ (სასამართლოში სირბილი ხომ, კომფორტული იყო) გამოკეტილი და ძალიან გაკოტრებული ჟურნალისტთა კავშირისგან ითხოვენ... 150 000 ლარზე მეტს!

ძვირფასო სამართალდამცველებო, ცალკეული „დაჩაგრული“ ჟურნალისტის მხარეზე რომ ხართ, აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად ამ თაღლითური, აშკარად გაყალბებული ფურცლის ამარა დარჩენილ უსაქმურ ჟურნალისტებს ეს თანხა რომ არ ეკუთვნით, ეს ჩვენს უსამართლო სამართალს სირცხვილით არ დაწვავს?!

იცავთ სამ ადამიანს და აზარალებთ და აუბედურებთ მინიმუმ 3000 ჟურნალისტს!!!

კანონს უნდა ემორჩილებოდეთ, მაგრამ უპირველესი ადამიანური წესი ის არის, შეცვალოთ ნებისმიერი კანონი, როცა ამას ცხოვრებისეული აუცილებლობა მოითხოვს!

**„სრ“ მთავარი რედაქტორი**

### გიორგი მამაცაშვილი:

## გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს ვპირდები-ჟურნალისტთა კავშირს არ დაგასამარებინებთ!

# «არ გაგივათ!»



იხ. 4 გვ.

## დღეს, მკითხველის თხოვნით, ჩვენი სტუმარია „ასავალ-დასავალი“ №24

### სალომე ზურაბიშვილი:

## მთავრობა, ხალხი, 27 ქვეყანა ერთად უნდა წყვეტდნენ საქართველოს ხვალინდელ დღეს, თუმცა მოსახლეობამ ეს უკვე გადაწყვიტა!



**საქართველოს სურს, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, ეს არის ისტორიული არჩევანი. ეს განსაზღვრავს ჩვენს მომავალს,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისივე თქმით, საქართვლოს ევროპული არჩევანი არა მხოლოდ ლეგიტიმურია, მას ალტერნატივა არ აქვს.

* * *

**მხოლოდ ეს იყო მთავარი სათქმელი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა ევროპაში გაახმიანა. დანარჩენი მოსმენადაც არ ღირს... ამიტომაც გამოსვლის სრულ ტექსტს აღარ ვბეჭდავთ!**

### წინ – წინაპრებისკენ!

## ჩვენი ხალხის სულიერი თვითმყოფადობის სარკე




იხ. 6 გვ.

გევედრებით უფალო, გაუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმას ნაღვაწი მათი სასიკეთოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა ივერიისასა“...

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი



## ნაციონალების მიზანია, სააკაშვილი დაიბევონ და თავის მხარდამჭერებს აჩვენონ, რომ ის მათ გვერდით დგას!

იხ. 3 გვ.

## ყველა ერთად გამოხაზევდა!..



# უფრო ვაჟკაცურად დაიცავით ქვეყანა და ხალხი, პოლიციელებო!



**ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების, თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების დამცველი, ძლიერი და მუდამ განვითარების პროცესში მყოფი პოლიცია ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციელის დღესთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



**„მე ამაყი ვარ ქართული პოლიციით, მეამაყება, რომ ჩვენი პოლიცია ზუსტად ასეთია. დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი და ხელისუფლება ერთად ვაძლიერებთ ჩვენს სახელმწიფოს, ვისწრაფვით თანამედროვე, ევროპული სახელმწიფოს შექმნისკენ, თამამად შეიძლება, ითქვას, რომ ჩვენ უკვე გვყავს ნამდვილად ევროპული სტანდარტების თანამედროვე და რაც მთავარია, მაღალპროფესიული პოლიცია. ეს, რა თქმა უნდა, არის ბოლო წლების მასშტაბური რეფორმების შედეგი. ეს არის ჩვენი მინისტრის, ბატონი ვახტანგ გომელაურისა და მისი გუნდის ეფექტური მუშაობის შედეგი. რა თქმა უნდა, ეს არის თითოეული თქვენგანის დაუღალავი, ერთგული მუშაობის შედეგი. თქვენ შეძელით ის, რაც არცთუ შორეულ წარსულში ბევრს წარმოუდგენლად მიაჩნდა. თქვენ მოიპოვეთ ხალხის სრული ნდობა, განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული. ამიტომ თქვენთან ერთად ამ დღეს ვულოცავ ჩვენს ხალხს. კანონის, საზოგადოებისა და ქვეყნის ერთგულებით, 24-საათიანი დაძაბული შრომით, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად, სხვათა სიცოცხლეზე ზრუნვით, თქვენ ფასდაუდებელ სამსახურს ეწევით ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის“...**

## სალომე ზურაბიშვილი: მადლობა პოლიციელებს ქვეყნის სამსახურისა და თავდადებისთვის

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პოლიციელებს პროფესიულ დღეს ულოცავს.

**„დღეს ბრიუსელიდან, ევროპარლამენტიდან ვულოცავ ქართულ პოლიციას პროფესიულ დღეს. უმნიშვნელოვანესია პოლიციის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის როლი ევროპულ ქვეყანაში. ქვეყნის დემოკრატიულობა და, მაშასადამე, ევროპულობა სწორედ ადამიანის უფლებებისა და საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვით ფასდება. მადლობას ვუცხადებ ჩვენს პოლიციელებს ქვეყნის სამსახურისა და თავდადებისთვის“.**

## ვახტანგ გომელაური: გმადლობთ, უძილო ღამეებისთვის!

ვახტანგ გომელაურმა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას სამართალდამცველებს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის.

**„დღეს ერთგვარი მადლიერების დღეა. მინდა, კიდევ ერთხელ, ხმამაღლა, საჯაროდ და დამსახურებულად გითხრათ მადლობა უძილო ღამეებისთვის, სამშობლოსთვის**



**თავდადებული სამსახურისთვის, დანაშაულთან დაუღალავი ბრძოლისთვის, საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად გადარჩენილი სხვა ადამიანების სიცოცხლისთვის. ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო თქვენს ოჯახებს – გულშემატკივრობის, თანადგომისა და მხარდაჭერისთვის“,** – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა. ვახტანგ გომელაურმა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო და აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი პოლიციელების გმირობაზე დგას სახელმწიფო.

**„სამწუხაროდ, არაერთი ღირსეული პოლიციელი დაიღუპა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. სწორედ ასეთი პოლიციელების დაუვიწყარ ღვაწლსა და გმირულ მაგალითებზე დგას ქართული სახელმწიფო, მათ გზას განაგრძობს ქართული პოლიცია. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ყველა პოლიციელის ხსოვნას“,** – აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

## პოლიციელების დისკრედიტაციას არავის ვაპატიებთ!

**მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, არ დავუშვებ ღირსეული პოლიციელების დისკრედიტაციას და ყოველთვის ვიქნები თქვენი პატივისა და ღირსების ობიექტური, სამართლიანი დამცველი,** – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა.

**„მეამაყება, რომ დღეს საქართველოს ჰყავს ძლიერი, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული, კანონის აღსრულებასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიცია. პოლიციელებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღეს“,** – დასძინა ვახტანგ გომელაურმა.

## ირაკლი კობახიძე: ვისაც სურს, საქართველომ მიიღოს სტატუსი, ვალდებულია, ილაპარაკოს სიმართლე და დაკავდეს ჩვენი ქვეყნის საფუძვლიანი რეკლამირებით!!!



პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, **საკუთარი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით განმსჭვალული ყველა ადამიანის ვალია, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით სიმართლე ისაუბროს.**

კობახიძეს ჟურნალისტებმა ევროპარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა.

**„ზოგადად ამ ვითარებაში, რაც შექმნილია ჩვენი ქვეყნის გარშემო, რა თქმა უნდა, ყველა იმ ადამიანის ვალია, რომელიც პასუხისმგებლობით არის განმსჭვალული საკუთარი ქვეყნის წინაშე, რომ ისაუბროს სიმართლე ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით, იმაზე, თუ როგორია დემოკრატიის მდგომარეობა ამ ქვეყანაში, როგორია ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, რა პროგრესს მივაღწიეთ ჩვენ გასული 11 წლის მანძილზე აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, რამდენად დიდი პროგრესი გვაქვს, მაგალითად, სასამართლო სისტემაში და ა.შ. რა თქმა უნდა, ვისაც სურს, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და წინ წაიწიოს ყველა მიმართულებით, ნებისმიერი შესაბამისი ადამიანი, ბუნებრივია, დაკავებული იქნება ჩვენი ქვეყნის რეკლამირებით, თან საფუძვლიანი და სამართლიანი რეკლამირებით“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს რომ ხელისუფლებაში ყოფილიყო, თბილისში რუსული ტანკები იდგებოდა

**„2008 წელს არც ერთ შემთხვევაში საქართველოში ომი არ იქნებოდა, მაშინ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ რომ ყოფილიყო. რუსეთი არის პრობლემა და პრობლემას მუდმივი მუშაობა სჭირდება. უსაფრთხოების დაცვა გჭირდება არა უწყინარი ქვეყნებისგან, არამედ პირველ რიგში, პრობლემური მეზობლებისგან. სწორი პოლიტიკა უნდა გქონდეს, რათა თავი დაიცვა არა უწყინარი ქვეყნებისგან, არამედ პირველ რიგში, სწორედ პრობლემური მეზობლებისგან. „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს რომ ხელისუფლებაში ყოფილიყო, თბილისში რუსული ტანკები იდგებოდა“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კითხვაზე, **„როგორ აიცილებდით თავიდან?“, – ირაკლი კობახიძე პასუხობს: „ჩვენ არ აღვადგენდით სამხრეთ ოსეთის საზღვრებს, არ გვექნებოდა მძიმე რიტორიკა ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ის ტერიტორიების დაბრუნებაზე პირდაპირ დაპირებებს გასცემდა. დევნილებს დაჰპირდა, რომ მომავალ ახალ წელს აფხაზეთში შეხვდებოდნენ. მას უმძიმესი რიტორიკა ჰქონდა. სამხრეთ ოსეთის საზღვრები აღადგინა. გარდა ამისა, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა. ცხინვალის რეგიონში ალტერნატიული სეპარატისტული არჩევნები ჩაატარა. ერთდროულად ორი სეპარატისტული არჩევნები ჩატარდა – ერთი იყო სააკაშვილის მიერ მხარდაჭერილი“.**

## ომის დაწყებიდანვე თავად ზელენსკი საუბრობდა ნატოში შესვლის გადაფიქრებაზე...

**არ მესმის ამ ვნებათაღელვის საფუძველი რა იყო, იმდენად აბსურდული იყო ეს ვნებათაღელვა, იგივე გასული წლის მარტში, ომის დაწყებიდან ორ კვირაში ზელენსკი საუბრობდა ნატოში შესვლის გადაფიქრებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთისთვის ომის დაწყების საფუძვლად იქცა სწორედ ნატოსკენ სწრაფვა,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

კობახიძის თქმით, უკრაინის პრეზიდენტი თუ საუბრობს ომის დაწყების მიზეზებზე, რატომ არ შეიძლება ამ თემაზე საქართველოშიც ისაუბრონ.

**„ზელენსკის თუ აქვს ამაზე საუბრის უფლება, ჩვენ არ გვაქვს? ან პრემიერს, ან მე, ან სხვას, რატომ არ გვაქვს ამაზე საუბრის უფლება, როცა ზელენსკი საუბრობს ამ ყველაფერზე. აქედან ჩანს, რომ ეს არის რაღაც თითიდან გამოწოვილი სპეკულაციები. გლობალური ომის პარტიის ძველი თუ ახალი აგენტი ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ, გამოიყვანეს სცენაზე და ყველას ალაპარაკეს სრული აბსურდი, იმ სრულიად უწყინარ და ლოგიკურ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც გააკეთა პრემიერმა“,** – განაცხადა კობახიძემ.

# ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა!



**პრეზიდენტსა და მთავრობას შორის დაწყებულ დაპირისპირებას, რომელიც დიასპორის ფორუმზე სალომე ზურაბიშვილისთვის სკამის პროტოკოლის დარღვევით დადგმის გამო დაიწყო და საკმაოდ საშიში სახე მიიღო, „ქართული ოცნება“ ასრულებს. პარტიაში აცხადებენ, რომ მათი პასუხისმგებლობაა, ხელი არ შეუწყონ პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებას და ამავე მიზნით, თავს ვალდებულად მიიჩნევენ, რომ არავის მისცენ პოლიტიკური კონფრონტაციის გაღრმავების საშუალება.**

როგორც მმართველ პარტიაში განმარტავენ, საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ქმედებები ხასიათდება უკიდურესი არაობიექტურობითა და პოლიტიკური მიკერძოებით, რაც უხეშად ეწინააღმდეგება ზეპარტიული კონსტიტუციური თანამდებობის პირის ფუნქციას.

**იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი კარგავს ლეგიტიმაციას საზოგადოების იმ ნაწილის თვალში, რომელმაც მას 2018 წლის არჩევნებში დაუჭირა მხარი და ვერც საზოგადოების იმ ნაწილში იძენს ლეგიტიმაციას, რომელიც მას 2018 წელს მოღალატედ და რეზიდენტად აცხადებდა, მმართველი გუნდი თავს ვალდებულად თვლის, რომ უფლებამოსილების დარჩენილი წელიწადნახევრის მანძილზე პრეზიდენტს შეუნარჩუნონ თუნდაც მინიმალური ლეგიტიმაცია საპრეზიდენტო უფლებამოსილების განსახორციელებლად. სწორედ ამითაც არის ნაკარნახევი გადაწყვეტილება, არ შევიდნენ პოლემიკაში სალომე ზურაბიშვილთან.**

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, **გიორგი მსხილაძის** განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტი ვერ გაიცნო, ვერ გაიგო, რომ მასზე ზემოქმედება არ მოქმედებს და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თვითონ გააგრძელებენ.

**„სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ განცხადება, რომ მათი მიზანია პრეზიდენტის ინსტიტუტი დაიცვან, სიტყვით ერთია და ქმედებით აბსოლუტურად სხვაა. ამის ნათელი მაგალითი 26 მაისი იყო, რომელიც ყველასთვის გამაერთიანებელი უნდა იყოს, თუმცა პრეზიდენტს შეურაცხყოფა მიაყენეს, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო. პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცვაში რას გულისხმობენ, ვერ ვხვდები, რადგან საქმით სხვას აკეთებენ.**

**„ქართული ოცნება“ პრეზიდენტის კრიტიკას ძალიან მტკივნეულად აღიქვამს. თუ პრეზიდენტის კრიტიკა უსამართლოა, მაშინ მათ გარკვეული არგუმენტები უნდა გააჩნდეთ. პრეზიდენტი საზოგადოებას ნაწილებად არ ყოფს, ის ყველას პრეზიდენტია – დიდი მადლობა, როგორმე, ჩვენ თვითონ გავაგრძელებთ საზოგადოებასთან ურთიერთობას“,** – განაცხადა **გიორგი მსხილაძემ.**

უმრავლესობის წევრი **ირაკლი ქადაგიშვილი** აცხადებს, რომ პრეზიდენტი პოლიტიკური ბრძოლის გარკვეულ მხარეს იჭერს, რაც არ შეესაბამება კონსტიტუციის სულისკვეთებას. მისივე თქმით, პრეზიდენტის მთავარი ფუნქცია არის იყოს ზეპარტიული და მისი ჩარევა პოლიტიკურ პროცესებში იყოს მხოლოდ კონსოლიდაციისკენ მოწოდებული.

მმართველი გუნდის განცხადება ცხადყოფს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი არ დგას „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ დღის წესრიგში, თუმცა პრეზიდენტმა გაფრთხილება მიიღო. ოპოზიციის წევრი **რომან გოცირიძე** ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა ეშმაკური ნაბიჯი და შერიგების ტონი შეარჩია, რაც, მისი თქმით, გამოწვეული იყო ბრიუსელში ზურაბიშვილის გამოსვლით. გოცირიძის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ ეშინია, ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია არ შეიწყალოს.

**„თუ ამას გააკეთებს ძალიან ძლიერი ნაბიჯი იქნება, თუ არ გააკეთებს, მიხვდება, რომ დიდი შეცდომა დაუშვა. „ქართული ოცნების“ მხრიდან ეს არის ფარისევლობა და მალე ვნახავთ, როგორ გაგრძელდება თავდასხმები როგორც ოპოზიციაზე, ასევე სალომე ზურაბიშვილზე, რადგან უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე, ზურაბიშვილმა პირწმინდად მოუგო მეორე რაუნდი „ქართულ ოცნებას“.**

**პირველ რაუნდში „ქართულმა ოცნებამ“ ტერორის ქვეშ მოაქცია პრეზიდენტი და ის იყო ფაქტობრივად უუფლებო, ხელფეხშეკრული, მას ამ პერიოდის განმავლობაში, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ახლა გამოცოცხლდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მან უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები“,** – განაცხადა **რომან გოცირიძემ.**

ჯერჯერობით პრეზიდენტი სააკაშვილის და გვარამიას შეწყალებას არ ჩქაროს, თუმცა რა გზავნილებს გააჟღერებს უკვე ბრიუსელში, ამაზე საუბარი რთულია. ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი **დავით ქართველიშვილი** ამბობს, რომ ჯერჯერობით პრეზიდენტისგან თეორიული-ვირტუალური მავნებლობა არ გადასულა იმ სავალალო, გამოუსწორებელი შეცდომების კატეგორიაში, რომელმაც მართლაც შეიძლება ქვეყანაში სერიოზული არეულობა, დაპირისპირება და საზოგადოებრივი ვნებათაღელვა გამოიწვიოს. მისი თქმით, თითქოს სულ ცეცხლს ეთამაშება, მაგრამ წითელი ხაზების გადაკვეთას, რის შემდეგ სიტუაცია შეიძლება უმართავი იყოს, პირველ რიგში, მასთან მიმართებით, თითქოს არ ცდილობს.

**„ეს ეხება მასთან დაკავშირებით იმ მოლოდინს, რომელიც გვარამიას და სააკაშვილის შეწყალებაზე გადის, რაც იქნება არათუ კატასტროფული უსამართლობა, ეს იქნება საქართველოს საზოგადოებისათვის გაწნული სილა, ჩვენი ისტორიული მეხსიერებისათვის.**

**მე არ მგონია, რომ ამ წითელი ხაზების გადაკვეთას ადგილი ჰქონდეს ბრიუსელში. იმიტომ, რომ, მაშინ ვერ წარმომიდგენია საქართველოს რომელ აეროპორტში უნდა დაეშვას მისი თვითმფრინავი ისე, რომ მას არ დახვდეს მართლა უკვე ზეაღელვებული საზოგადოება, მისი საკუთარი ამომრჩეველი. თუ რაღაც პარაქტიკული ტიპის მავნელბლობის ჩამდენი იქნებოდა ეს ქალბატონი, თბილისში ჩაიდენდა, ამისთვის ბრიუსელში გაფრინდეს, ცოტა ალოგიკური მოლოდინია“,** – აცხადებს ქართველიშვილი.

ანალიტიკოსი ელოდება მწვავე რიტორიკას, რომლის ძირითადი ადრესატი იქნება საქართველოს ხელისუფლება. პრეზიდენტი შეეცდება დაარწმუნოს ევროპული საზოგადოება, რომ ის უპირობოდ, ცალსახად ევროპის მხარეზე დგას და ამით დაპირისპირება საკუთარ ხალხსა და საქართველოს შორის კიდევ უფრო გააღრმავოს.

**„მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ყურადღებით აკვირდება მოვლენათა შემდგომ განვითარებას, ნუ იქნება ვინმე ილუზიაში, რომ კატასტროფის ეპოქაში თუ შევიდა მსოფლიო, რომელიმე ქვაყანას ეს კატასტროფა ასცდება. ამიტომ, მოთმინება გვმართებს და მათ შორის თვითონ პრეზიდენტსაც მართებს მოთმინება, ასევე ამომრჩევლებს, რომელსაც ქალბატონი პრეზიდენტი თავის ხელისუფლებიანად, საკუთარ ოპონენტად აღიქვამს. ამიტომ, მთავარია ამან შეცდომები არ ჩაგვადენინოს, მათ შორის რიტორიკის დონეზეც კი“,** – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

**თამთა ქარჩავა**



# ყველა ერთად გამოხაბევდა!..

## ნაციონალების მიზანია, სააკაშვილი დაიბევონ და თავის მხარდამჭერებს აჩვენონ, რომ ის მათ გვერდით დგას!



**მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების განაცხადი კახეთიდან, მისი „ძველი მამულებიდან“, „ნაციოანლური მოძრაობის“ ახალმა თავმჯოდმარემ ლევან ხაბეიშვილმა გააკეთა. პოლიტსაბჭოს სხდომას ხაბეიშვილი და მისი გუნდი უკვე ექსპრეზიდენტის მამულში ატარებს. ნაციონალები 2024 წლის არჩევნებისთვის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურად გააქტიურებას აპირებენ და, დიდი ალბათობით, მას ისევ პრემიერ-მინისტრის კანდიდატად დაასახელებენ.**

**სააკაშვილის დახმარების მაგივრად, რომლის დასახსნელად ხაბეიშვილი ფიზიკურად ჩართვასაც არ გამორიცხავდა, აღმოჩნდა, რომ პირიქით, პარტიას მისი დახმარება სჭირდება. თუმცა, როგორ აპირებს ე. წ. მომაკვდავი სააკაშვილი პოლიტიკაში აქტიურობას „ვივამედიდან“ ჯერ უცნობია. ფაქტია, რომ ის და მისი გარემოცვა ამ გადაწყვეტილებით აღიარებენ, რომ მთელი ეს კამპანია, რომელიც მისი დაკავების დღიდან არის აგორებული, ყალბია და რეალურად სააკაშვილს არც არავინ აწამებდა და კლავდა.**

ყვარლის „მამულში“ ნაცური პოლიტსაბჭო 2 საათი გაგრძელდა. შეკრებას 84 წევრი ესწრებოდა, თუმცა **ნიკა მელიას** ფლანგიდან არავინ ყოფილა. ყოფილი თავმჯდომარის გუნდმა, ახალი მენეჯმენტის შიდაპარტიული გადაწყვეტილებების გამო, პოლიტსაბჭო პროტესტის ნიშნად დატოვა.

სააკაშვილის მამულში გამართულ პოლიტსაბჭოზე, სააკაშვილის თავისუფლებაზეც ისაუბრეს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყოფილი პრეზიდენტის ციხიდან დასახსნელად და პოლიტიკაში დასაბრუნებლად, განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო. გეგმის მიხედვით, პარტია აქციებს, რეგიონულ კონფერენციებსა და შეხვედრებს გამართავს.

იხ. 9 გვ.

მთელი ხმით!

## გიორგი მამაცაშვილი:

# გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს ვპირდები – ჟურნალისტთა კავშირს არ დაგასამარებინებთ!

# «არ გაგივათ!»



**ახლახან საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყრილობა გაიმართა. ყრილობის დელეგატებმა კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მედია-ჰოლდინგ „რეპორტიორის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი, რომელსაც არამხოლოდ მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება უმაგრებს ზურგს, არამედ — საკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან ბრძოლის ეპოპეაც.** *მან ჯერ კიდევ 2008 წელს მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას, რათა ნაცხელისუფლების მიერ ჟურნალისტებისათვის წართმეული ნავსაყუდელის — გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის დაბრუნებისათვის მიეღწია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ* ***2011 წლის 26 მაისს რეჟიმის ხელით სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა*** *— პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ე.წ. არალეტალური ტყვიებით დაცხრილეს, ხელები შეუკრეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.* ***იმ ავბედითი პერიპეტიის 12 წლისთავს — 2023 წლის 26 მაისს — გიორგი მამაცაშვილი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის რანგში ხვდება, თუმცა, მას კავშირში საკმაოდ მძიმე რეალობა დახვდა*** *— გარიცხული ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, ათიათასობით ლარის დავალიანება და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონზე გასატანად განწირული კავშირის კუთვნილი ოფისი.* ***„ჩვენი დუმილი დანაშაულის ტოლფასი იქნება!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ:***

— ჟურნალისტთა კავშირიდან გარიცხულთა შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ. ყველა ღირსეულ და დამსახურებულ ადამიანს დავიყენებთ გვერდში — ეს მთავარი ამოცანაა. პრობლემებიც მრავლადაა — ორგანიზაციას გაახალგაზრდავება სჭირდება, **ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია, უნდა აღდგეს და კავშირის გამგეობამ მომავალში რამდენიმე კანონპროექტის ინიცირებაც უნდა მოახდინოს. საერთაშორისო ჟურნალისტთა ფედერაციასთან ურთიერთობებიც, ფაქტობრივად, თავიდან არის დასაწყები...** მოკლედ, სასაუბროც და გეგმებიც ბევრია, მაგრამ ახლა სხვა მძიმე რეალობის წინაშე ვდგავართ — საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის კუთვნილი ოფისი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონზე გასაყიდადაა განწირული.

დღევანდელი მდგომარეობით, ან აუქციონამდე უნდა გავყიდოთ ოფისი, რათა „ვალების“ გასტუმრების შემდეგ შედარებით მცირე მოცულობის ოფისის შეძენა მაინც შევძლოთ, ან შენობა იძულებითი აუქციონის წესით უნდა გასხვისდეს და შესაძლოა, ჟურნალისტთა კავშირი საერთოდ ქუჩაში დარჩეს!




**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**
**აღსრულების ეროვნული ბიურო**
**თბილისის სააღსრულებო ბიურო**

KA012011960480323

საქართველო, თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ. ტელ.: +(032) 2 749 649, ელ. ფოსტა: info@nbe.gov.ge, ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge
D. Agmashenebeli Alley, 10th km, 0131, Tbilisi, Georgia, Tel.: +(032) 2 749 649, E-MAIL: info@nbe.gov.ge,www.nbe.gov.ge

\# 33996 — 19 / მაისი / 2023 წ.

*ამონარიდი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის სახელზე თბილისის სააღსრულებო ბიუროდან გამოგზავნილი გამაფრთხილებელი წერილიდან*

ასევე, დავალიანების დაფარვის მიზნით, უახლოეს პერიოდში იგეგმება აუქციონის დანიშვნა მოვალის-საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (204400656) სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N17ე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.002.01.505).

პატივისცემით.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილე — ხელმოწერილია/შთამადასმულია ელექტრონულად — რუნარ გუსეინოვი

**— მკითხველს შევახსენებთ, რომ ახლა ჩვენ თითქმის სამოცდაათწლიანი ისტორიის მქონე ჟურნალისტთა კავშირზე ვსაუბრობთ.**

— ისტორიაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჟურნალისტთა კავშირის წევრთა ჩამოთვლაც ბევრის მთქმელია: **ელიზბარ ჯაველიძე, ნანა დევდარიანი, ლევან დოლიძე, როინ მეტრეველი, სანდრო კოტორაშვილი, აკაკი სიხარულიძე, დავით წერეთელი, არჩილ გოგელია, თენგიზ გაჩეჩილაძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ვანო ჯაფარიძე, ტატო ლასხიშვილი, ვან ბაიბურთი, გოჩა ხუნდაძე, ვადიმ ანასტასიადი, ბადრი ვადაჭკორია, დემიკო ლოლაძე...** რომელი ერთი ჩამოვთვალო... მაგრამ დღეს ყველაზე მთავარი უნდა ითქვას! და გარწმუნებთ, ეს არის ის ერთადერთი სიმართლე, რომლის ხმამაღლა თქმისგანაც ბევრი დღემდე იკავებდა თავს!

**— კი მაგრამ, სიმართლის თქმას რომ აპირებთ, ცხენი შეკაზმული გყავთ?**

— გაქცევას არსად ვაპირებ, ამდენად, თამამად ვიტყვი სიმართლეს, რომლის მიღმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი ადამიანური თუ პროფესიული ტკივილი იმალება. უფრო მეტიც, რომ არა უკანასკნელ თვეებში რამდენიმე ადამიანის მიერ გამოჩენილი პრინციპული პოზიცია, დღეს გაცილებით უარესი რეალობის წინაშე ვიდგებოდით. დიახ, სამწუხაროდ, პოლიციის გამოძახების გარეშე გამგეობის სხდომებიც კი აღარ მთავრდებოდა, რადგან საქმე უკიდურეს კონფლიქტამდეც კი მიდიოდა... ასე რომ, დროა, ყველა ჭორსა თუ სიბინძურეს წერტილი დაესვას და ცალსახად გაიგოს ყველამ: **საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს დღეს არ ჰყავს თავში ხელწამოსარტყმელი და აბუჩად ასაგდები გამგეობა! ამ დამსახურებულ ხალხს ყურადღება და, რაც მთავარია, სიმართლე სჭირდება!**

**— და მაინც, როგორ დაიწყო ყველაფერი?**

— საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ: 2013 წლის 24 დეკემბერს ჟურნალისტთა ყრილობაზე კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს **ჰამლეტ გეგია.** ანგარიშით წარდგა კავშირის იმდროინდელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **გუგაზ მეგრელიძე.**

**სარევიზიო კომისიის მიერ წარდგენილ ანგარიშში ნათლად იკვეთება, რომ 2013 წლის ბოლოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს არავის მიმართ არანაირი სახელფასო დავალიანება არ გააჩნდა.**

ამასთან, ყრილობას ესწრებოდა ჟურნალისტთა კავშირის ყოფილი თანათავმჯდომარე, მაშინდელი დელეგატი **გიორგი ჟორჟოლიანი,** რომელსაც სარევიზიო კომისიის ანგარიშთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამს.

2017 წლის იანვარში უეცრად გარდაიცვალა კავშირის თავმჯდომარე, **ბატონი ჰამლეტ გეგია.** როგორც ამბობენ და ამას სულაც არ ამბობენ რიგითი პირები — ბატონი ჰამლეტის გარდაცვალებიდან ნახევარ საათში ყოველგვარი აქტის გაფორმების გარეშე **გარდაცვლილი გეგიას ოჯახს ჟორჟოლიანმა გამოართვა კავშირის ბეჭედი, რომელიც კანონისა და წესდების უხეში დარღვევით 2017 წლის 17 იანვრამდე მასთან ინახებოდა!** მეტიც — 2017 წლის 4 იანვარს **ბატონმა ჟორჟოლიანმა** მოიწვია კავშირის პრეზიდიუმისა და გამგეობის რამდენიმე წევრი და კვორუმის არარსებობის მიუხედავად, საკუთარი თავი კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაადგენინა.

**— განმკითხავი არავინ იყო? ან დღეს რას ამბობენ ამ გაყალბებული სხდომის მონაწილენი?**

— მეტსაც გეტყვით და გვარებსაც ჩამოგითვლით! რასაც ახლა ვამბობ, სიტყვასიტყვით წერია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კოლეგიისადმი **დენის დავითაშვილის** მიერ გაგზავნილ განცხადებაში.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში მეგობრობდნენ ბატონი დენისი და ბატონი ჟორჟოლიანი და, დამეთანხმებით, მეგობარმა უფრო მეტი იცის! ამიტომ ვეყრდნობი ამ განცხადებაში მოყვანილ და საქმეში არსებულ მასალებსა და ფაქტებს.

მომდევნო დღეებში გაიმართა გაერთიანებული სხდომა, რო-

# «ჩვენი დუმილი

მთელი ხმით!



# «მივმართავ ირაკლი შოთაძეს და დავით ასათიანს: გიორგი ჟორჟოლიანი არის ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავე!“





მელმაც გააუქმა 2017 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება და ყრილობის ჩატარებამდე თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნა ქალბატონი **მარინა თეძთუმანიძე,** თუმცა, კავშირის ბეჭედი **ჟორჟოლიანმა** მხოლოდ 17 იანვარს გადასცა მას.

**— კი მაგრამ, ჩნდება კითხვა — 4 იანვრიდან 17 იანვრამდე შეეძლო თუ არა ბატონ ჟორჟოლიანს კავშირის ბეჭდის არადანიშნულებით გამოყენება?**

— სწორედ ამის შემდეგ ჩნდება 2005 წლის 9 ივლისის თარიღით საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის ბრძანება და 2014 წლის 15 იანვრის შეთანხმება. **ამ ორი, პირდაპირ გეტყვით, თაღლითური გზით შედგენილი დოკუმენტის გამოყენებით, ჟორჟოლიანმა მიმართა სასამართლოს მოთხოვნით, თითქოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს და მის თავმჯდომარეს 2014 წლის იანვრამდე დაუგროვდა სახელფასო დავალიანება 56 550 ლარის ოდენობით!** მეტიც — ე.წ. **ადვოკატმა ჟორჟოლიანმა** 2013 წლის იანვრის თარიღით, 2014 წლის 15 იანვარს სახელმწიფო რეესტრში გაატარა ყრილობის გაყალბებული ოქმი. ცნობისათვის, 2013 წლის 24 დეკემბრის ყრილობის ოქმი 30 დეკემბერს ასევე წარდგენილი იყო საჯარო რეესტრში, რომელსაც ყრილობის თავმჯდომარე **გუგაზ მეგრელიძე** და მდივანი **ლამარა გიორგაშვილი** აწერდნენ ხელს და რომელიც კანონის დაცვით იყო ნოტარიუსის მიერ დამოწმებული!

**— თქვენი ნათქვამის დადასტურება ამ ეტაპზე ვის შეუძლია?**

— კავშირის ყველა წევრს, რომელიც 2013-2014 წლებში, სამწუხაროდ, ვერ აღუდგა **ჟორჟოლიანის მიერ ჩადენილ სიყალბეებს.** მეტიც — გასული 6 წელი კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სასამართლო დარბაზებში გაატარა სწორედ ჟორჟოლიანის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლაში. სხვათაშორის, ადვოკატთა ასოციაციაში **დენის დავითაშვილის** და სხვა რამდენიმე კოლეგის მიერ შეტანილი განცხადება ვახსენე და გეტყვით — იმ მიმართვებში გაცილებით მეტია ნათქვამი ჟორჟოლიანის ავკაცობაზე.

ერთსაც გეტყვით: კავშირის ინტერესებს ამ წლებში იცავდა ადვოკატი **მონიკა რუხაძე,** რომელსაც, სამწუხაროდ, არასდროს დაუყენებია შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე — კონკრეტულად რომელი გამგეობისა და პრეზიდიუმის თანხმობის შემდეგ აღიარეს **ჟორჟოლიანის აღნიშნული სახელფასო დავალიანება?** ან რომელ საბუღალტრო ჟურნალში იქნა გატარებული ეს 56 550 ლარი?

**— ხომ არ მიგვანიშნებთ, რომ მონიკა რუხაძე და გიორგი ჟორჟოლიანი ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ?**

— არა! დამბრალებელი უარესს სჩადის, მაგრამ ქალბატონი მონიკას მიმართ კითხვები მაინც გააჩნიათ ჟურნალისტთა კავშირის დღევანდელი გამგეობის წევრებს და, მათ შორის, მეც! **დიახ, ქალბატონმა მონიკა რუხაძემ ნამდვილად დაიცვა კავშირის ინტერესები** რამდენიმე სასამართლო სხდომაზე, მათ შორის, ბატონების **დენის დავითაშვილისა** და **გიორგი ჟორჟოლიანის** წინააღმდეგ წარმოებულ სამართლებრივ დავებშიც, რომლებიდანაც რამდენიმე პროცესი მოიგო, მაგრამ ვთქვათ პირდაპირ — რამდენიმე სხდომაზე მან კავშირის ინტერესები არასრულყოფილად დაიცვა!

**— ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, ხომ არ გქონიათ მცდელობა, შეხვედროდით ჟორჟოლიანსა და რუხაძეს?**

— **„საერთოდ არ მაინტერესებს თქვენი კავშირი, ფული მინდა!“** — აი, ასეთი უტიფარი პასუხით გამითიშა ტელეფონი **ჟორჟოლიანმა!** რაც შეეხება **რუხაძეს,** ჟორჟოლიანის მსგავსად, მანაც მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და განვლილი 5 წლის მანძილზე „გამომუშავებულ“ 38 625 ლარს ითხოვს ჟურნალისტთა კავშირისგან, რაც **კავშირის ძველი ხელმძღვანელობის გასასტუმრებელი უფრო გახლდათ, ვიდრე ჩემი!**

**— წარმოუდგენელ რამეს ყვები... ნუთუ ასეთი რეალობა იყო კავშირში ამ წლების განმავლობაში?**

— არაჯანსაღი პროცესები და ურთიერთბრალდებებიც ხშირი იყო... კოვიდპანდემიის პერიოდიც დაემთხვა და კავშირის ხელმძღვანელთა ფუნქციები მხოლოდ სასამართლო სხდომებზე სიარულით შემოიფარგლა. თავშიც გითხარით — გამგეობის სხდომები პოლიციის გამოძახებისა და ხელწერილების გარეშე იშვიათად მთავრდებოდა! დადგა დრო, ბინძური და უსაგნო ურთიერთბრალდებების დრო დასრულდეს და ყველაფერი გავკეთდეს ჟურნალისტთა კავშირის ავტორიტეტის აღსადგენად. სამწუხაროდ, ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც ბინძური ჭორაობით ილესავენ ენას, მაგრამ იმედი მაქვს, ისინიც მოეგებიან გონს და მიხვდებიან, რომ კონსტრუქციულ დიალოგს წინ ვერაფერი დაუდგება!

მარტო ჟურნალისტთა კავშირიდან გარიცხულთა გვარები რომ ჩამოგითვალოთ, შოკი მერე ნახეთ! მაგალითისთვის რამდენიმეს დაგისახელებთ: **ვახტანგ გეგელია, თამაზ ჩიქვანაია, ვახტანგ კობაიძე, თემურ ქორიძე, სერგო ედიშერაშვილი...** თუკი ვინმეს ჟურნალისტიკასთან ახლოს ჩაუვლია, მიხვდება, რას ნიშნავს ეს გვარები თანამედროვე ჟურნალისტთა კავშირისთვის! ყრილობაც საკმაოდ მძიმე და წარმოუდგენელ პირობებში ჩატარდა და რიგგარეშე ყრილობის მოწვევაც უნდა მოხდეს, რომელშიც ყველა ღირსეული და დამსახურებული ჟურნალისტი მიიღებს მონაწილეობას, რათა შემოქმედებითი კავშირის მუშაობა აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტებზე გადავიდეს.

სხვათაშორის, აქვე იმ გამოჩენილ ჟურნალისტებს ჩამოგითვლით, რომლებიც 2013 წლის 24 დეკემბრის ავადსახსენებელ ყრილობას ესწრებოდნენ და დღესაც დაადასტურებენ, რომ ადვოკატი ჟორჟოლიანი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავეა! ესენი არიან: **ლია ჭილლაძე, მარინა ზედელაშვილი, მერაბ ბალაშვილი, მარინე დამენია, ლამარა გიორგაშვილი, გუგაზ მეგრელიძე, მარინა თეძთუმანიძე, გულიადა ჭკადუა, დავით წერეთელი, რობინზონ ოდიკაძე, ლაშა ნადარეიშვილი და სპარტაკ ქობულია!**

**— რა ხდება... ისეთ ამბავს ყვებით, ჟორჟოლიანი ჟურნალისტთა კავშირის კი არა, „კოზა ნოსტრას“ ატამანი გამოდის...**

— სხვათაშორის, ჟურნალისტთა კავშირის წინა მოწვევის გამგეობის წევრებმა **ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაშიც** შეიტანეს საჩივარი ადვოკატის მანტიაში დამალული ჟორჟოლიანის წინააღმდეგ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კოლეგიასაც მიმართეს განცხადებით. საჩივარს გამგეობის წევრები აწერენ ხელს: **სპარტაკ ქობულია, ნინო გოძიაშვილი, გუგაზ მეგრელიძე, ლია ჭილლაძე, ლამარა გიორგაშვილი** და სხვები...

სამწუხაროდ, ეს არის ერთადერთი სიმართლე! მე კი, როგორც ყრილობის მიერ ახლად არჩეულ თავმჯდომარეს, ნამდვილად არ მსურს, ტყუილით საქმიანობის დაწყება, რადგან ხვალ თვალებში უნდა ჩავხედო ღვაწლმოსილ კოლეგებს და არ უნდა შემრცხვეს! მათ კი არასდროს არ უნდა ინანონ ჩემთვის უდიდესი ნდობის გამოცხადება!

ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ **ირაკლი შოთაძეს** და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ **დავით ასათიანს:** გამოიყენეთ ყველა სამართლებრივი ბერკეტი და აღკვეთეთ **გიორგი ჟორჟოლიანის** თაღლითობა! გახსოვდეთ, ეს კაცი ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავეა!


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი
ვიდრე არ მივმართავთ ტერორს, ადგილზევე დახვრეტას, არაფერი გამოვა! ლენინი
ასავალ დასავალი WWW.ASAVALI.GE
2011 წლის 30 მაისი-5 ივნისი N22 (869) ფასი 1 ლარი და 50 თეთრი
ამონარიდები ექსპერტიზის დასკვნიდან
საააკაშვილო, მე შენი პირადი ბრძანებით დამხვრიტეს, მაგრამ... ვერ მომკლეს!
„25-ე არხის“ ოპერატორის მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში ნათლად ჩანს, რომ სააკაშვილის სპეცრაზმელები დამიზნებით ესვრიან „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებს გიორგი მამაცაშვილსა და ბექა სივსივაძეს
ვიდეომასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით „25-ე არხის“ გენერალურ დირექტორს ბატონ მერაბ მერკვილაძეს და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ტექრედაქტორს ნუგზარ სუარიძეს


დაბოლოს:

**როგორც ჟურნალისტი, რომელიც 12 წლის წინათ, 2011 წლის 26 მაისს, სააკაშვილის რეჟიმმა დამხვრიტა, მაგრამ ვერ მომკლა,** ჟურნალისტთა კავშირის დასამარების მოსურნე **გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს, მეგობარყოფილებსა თუ თანამზრახველებს** ვპირდები — **არ გაგივათ!** ღირსეული ჟურნალისტების წინააღმდეგ უღირს ომში თქვენც ისეთივე კრახი გელით, როგორიც სააკაშვილის ბოროტმა რეჟიმმა იწვნია!

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

# დანაშაულის ტოლფასი იქნება!»

№63. ხუთშაბათი, 1 ივნისი, 2023 წელი.



# ჩვენი ხალხის სულიერი თვითმყოფადობის სარკე

ამ უიშვიათეს წიგნს – „შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“ თავისი თემატიკისა და ავტორის კომპეტენციის გამო, დიდი მეცნიერული და კულტუროლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როგორი მაღალიც არ უნდა იყოს მასში წარმოდგენილ ნიმუშთა მხატვრული და ისტორიული ღირებულება, ამ ჯვარ-ხატებსა და ლიტურგიულ ნივთებს უწინარეს ყოვლისა საღვთისმსახურო დანიშნულება აქვს. ისინი ეკლესიის წიაღში შეიქმნა და მათი მნიშვნელობის სათანადოდ გაცნობიერება შეუძლებელია მათი სულიერი საზრისის გათვალისწინების გარეშე.

ნაშრომში წარმოდგენილი ქართული ქრისტიანული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები არა მარტო ზოგადსაკაცობრიო ქრისტიანული რეალობების გამომსახველი სიმბოლოებია, არამედ მათში ბუნებრივად ვლინდება ქართველი ხალხის თვითმყოფადობის მნიშვნელოვანი ასპექტები.

**ქართველი ხალხი ტრადიციულად უკავშირებდა საკუთარ თვითმყოფადობას ორ რწმენით სასოებას: ჩვენი ქვეყანა ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია და საქართველოს ეკლესია, ღვთისმშობლის მფარველობითა და შეწევნით, ისტორიის ბოლომდე, სრული აპოსტასიის გარემოშიც შეურყვნელად დაიმარხავს მართლმადიდებლურ რწმენას. ჩვენი ქრისტიანი წინაპრები ქართველი ხალხის თვითმყოფადობის ამ ორ არსებით ნიშანზე საუკუნეების განმავლობაში მიანიშნებდნენ, როგორც პირდაპირ, ისე წმინდა რელიკვიების სახისმეტყველებით.**

ივერიელთა ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის თვალსაჩინო მინიშნებად თავიდანვე მიიჩნეოდა აწყურის ხატი, რომელიც საეკლესიო გადმოცემის თანახმად საქართველოში წმინდა ანდრია მოციქულმა შემოაბრძანა, რათა ღვთისმშობლის სახელითა და შეწევნით ექადაგა ჩვენს ქვეყანაში ღვთის სიტყვა. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანად საქართველოსა და ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი, და რქუა: „ჰოი, დედაო ჩემო არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო, უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთუის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანაწარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დიდებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი მკუიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა.“ წილხვდომილობის სიმბოლურ კიდევ ერთ მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც, საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ზეციურმა დედოფალმა ქართველთა განმანათლებელს გამოცხადებისას გადასცა საქართველოში სამოციქულო მოღვაწეობის დაწყების წინ. ღვთისმშობლის კურთხევით წმინდა ნინომ დააგვირგვინა ანდრია პირველწოდებულის მიერ დაწყებული მოქცევა ქართლისა.

ღვთისმშობლის მიერ ჩვენი ერის მფარველობის განცდას ასევე განამტკიცებს საქართველოში დავანებული ორი დიდი რელიკვია: ღვთისმშობლის პერანგი და ვლახერნის სასწაულმოქმედ ხატში დაცული ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილები. ეს სიწმინდეები ქართველ კაცს ღვთისმშობელთან სულიერი სიახლოვის განცდას აღუძრავს და აძლევს იმედს, რომ ისინი განსაკუთრებულად შეეწევა ჩვენს ხალხს დედაღვთისას კურთხევით ნაქადაგები ღვთის სიტყვის ბოლომდე მტკიცედ დაცვაში.



ყველა მოვალე ვართ, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში. უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს...

ექვთიმე თაყაიშვილი

ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი ერთგულების გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხის განსაკუთრებული თაყვანისცემა და სასოება ანჩის ხელთუქმნელი ხატისადმი. საეკლესიო სწავლებით, წმინდა წერილი და ქრისტიანული დოგმები ძე ღმერთის სიტყვიერი, კონცეპტუალური ხატია, ხოლო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი ღვთის განკაცების გამოცხადებითი უწყების ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომ ანჩის ხატისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემა იმ სასოების გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძე ღვთისას სიტყვიერი ხატი, ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება შეურყვნელად, ადამიანური ხელისგან დაუმახინჯებლად შეინახება ჩვენს ეკლესიაში.

რწმენა, რომ საქართველოს ეკლესია უფლის მეორედ მოსვლამდე უერთგულებს მართლმადიდებლობას, არა მარტო ჩვენი ეკლესიის წმინდა გადმოცემაში ცოცხლობს, არამედ არაქართველი წმინდა მამების მიერაც დასტურდება. ამ სასოების გამოვლინებაა წმინდა გადმოცემა იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესია ქრისტიანული სამყაროს ორ უდიდეს რელიკვიას, უფლის კვართსა და ელია წინასწარმეტყველის ხალენს იმარხავს. ჯერ კიდევ წმინდა კიპრიანე კართაგენელი (III ს.) მიუთითებდა, რომ უკერველი უფლის კვართი ეკლესიის ერთიანობასა და, აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტი რწმენის ბოლომდე შეურყვნელად დაცვას განასახიერებს, ელია წინასწარმეტყველის ხალენი კი ღვთაებრივი მოშურნეობით გამორჩეული დიდი წინასწარმეტყველის ღვთივბოძებული ძალის, რწმენისა და ჭეშმარიტი ღვთისმსახურების მტკიცედ დაცვის ბიბლიურად დამოწმებული სიმბოლოა.

ამავე რწმენას გამოხატავს ალეგორიული ენით იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (X ს.), რომლის მიხედვით, მეორედ მოსვლის ჟამს „ქართული ენით“ მოხდება სამყაროს მხილება. ცხადია, რომ აქ სიტყვა „ენაში“ მისი თანამედროვე მნიშვნელობა ანუ მხილების, სამსჯავროს ენა არ იგულისხმება. ძველად „ენა“ ხალხსაც ნიშნავდა, ამიტომ ეწოდება წმინდა პავლეს „ენათა მოციქული“. იოანე ზოსიმეს სიტყვები ქართველი ხალხის საუკუნოვან რწმენას გამოხატავს იმის თაობაზე, რომ უფლის მეორედ მოსვლისას საქართველოს ეკლესია ყველას წინაშე დაამოწმებს მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი ერთგულებას.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ჭეშმარიტი რწმენის ბოლომდე შეურყვნელად დაცვის სასოება ჩვენს ქრისტიან წინაპრებს ქართველი ხალხის ღვთივრჩეულობისა და პრივილეგიების გარანტად კი არ მიაჩნდათ, არამედ – პასუხისმგებლობად, რადგან უწყოდნენ, რომ ღვთაებრივი განგებულება მადლისმიერი ადამიანური თანამოქმედებით, ანუ სინერგიით მიიღწევა.

მართლმადიდებელი ეკლესიის ხანგრძლივი ეგზეგეტიკური, სახისმეტყველებითი გამოცდილება გვიდასტურებს, რომ სიმბოლური ენა, ღვთაებრივი განგებულებისა და სულიერი რეალობების გამოხატვის ტრადიციული საშუალებაა. აქედან გამომდინარე კი, შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური უპირველეს ყოვლისა ჩვენი ხალხის თვითმყოფადობის მატერიალური სახეა.

„საზოგადოება ივერიისა“ მიიჩნევს, რომ თვითმყოფადობის გააზრება ქართული საზოგადოებისათვის ყველაზე აქტუალური ამოცანაა, რაც თანამედროვე რეალობაში რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და მეცნიერების თანაშემოქმედებით მიიღწევა. ეს ნაშრომიც ამ მიზანს ემსახურება.

**„საზოგადოება ივერიისა“**



ქრისტე – მეუფე დიდებისა ნასპერის ტაძარი. XVI–XVII ს.ს. ხე, მოოქრული ვერცხლი, ძვირფასი ქვები. (მუზეუმში გადმოტანილია ლუჯხუმიდან, ღვირიშის თემის ეკლესიიდან)



დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი. ხობი. XII ს. მოოქრული ვერცხლი, ძვირფასი ქვები. (დაბრუნებულია პარიზიდან ქართულ საგანძურთან ერთად)



დავით კურაპალატის ჯვარი. X ს. ვერცხლი, მოოქრული ვერცხლი. (დაბრუნებულია პარიზიდან ქართულ საგანძურთან ერთად)



კარედი ხატი ღვთისმშობელი ოდიგიტრიის, „უფლის დიდების“, „ხარებისა“ და მოციქულების გამოსახულებით. ყვარლის ღვთისმშობლის ეკლესია. სამთავისის ღვთაების ტაძარი. ალავერდის წმ. გიორგის მონასტერი. XVI ს. ხე, მოოქრული ვერცხლი, ძვირფასი ქვები.




## წიგნის ავტორის შესახებ

### ნანა ბურჭულაძე

ქალბატონი ნანა ბურჭულაძე 1975-2021 წლებში მუშაობდა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. 2017 წლიდან იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების ხელოვნების კოლექციების მთავარი კურატორი. მისი მეცნიერული ინტერესის სფეროს წარმოადგენს შუა საუკუნეების ხატწერა, კედლის მხატვრობა, ხელნაწერთა დასურათება, ლითონზე პლასტი-



კა, ქვაზე კვეთა, ნაქარგობა, მინანქარი. არის 80-მდე სტატიისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი („უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა“ – 2006 წ., „თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება“ – 2009 წ., „ქართული ხატები“ – 2016 წ). იკვლევს უცხოეთის მონასტრებსა და მუზეუმებში დაცულ ქართულ ქრისტიანულ სიძველეებს ბიზანტიური და აღმოსავლეთ ქრისტიანული ხელოვნების კონტექსტში. სწავლობს სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში შემორჩენილ ქართველ ბერ-მონაზონთა მიერ შექმნილ ხატებსა და მათ ანალოგებს საქართველოში. სისტემატურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. კითხულობს ლექციებს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში. არის საპატრიარქოს თამარ მეფის უნივერსიტეტის დოქტორანტურის ასოცირებული პროფესორი. თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან.

დღეს არის საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის ნანა ბურჭულაძის წიგნი, არის ავტორის მრავალწლიანი შრომის ნაყოფი. მისი მიზანია გააცნოს ყველა დაგულისყურებულ ადამიანს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული შუა საუკუნეების საქართველოს უმდიდრესი საგანძური, მისი ისტორია და რჩეული ნიმუშები, რომელთა მნიშვნელობა ცდება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს და წარმოდგენას ქმნის იმ დიდ წვლილზე, რაც ქართველმა ოსტატებმა შეიტანეს ზოგადქრისტიანული სასულიერო კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში VI საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით.

# შავი შაშვივით ზამთარში ჩუმი...



ჩვენი რედაქციის ღვაწლმოსილ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ნანა ღვინეფაძეს 30 მაისს 95 წელი შეუსრულდებოდა. ათეული წლების განმავლობაში იგი საოცარი შემართებით ხელმძღვანელობდა ჩვენი გაზეთის კულტურის განყოფილებას, განათლებით თეატრმცოდნე, უდიდესი პროფესიონალიზმით რედაქტორობდა მისსავე დაარსებულ ყოველთვიურ ჩანართს „სახიობას“, რომელიც მკითხველის განსაკუთრებული ინტერესითა და სიყვარულით სარგებლობდა. ბრწყინვალე ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად ნანა ღვინეფაძე ერთგულად მსახურებდა პოეზიას. ლექსებისა და ნარკვევების ათამდე კრებულის ავტორი მომლოცველივით მოგზაურობს სამშობლოს წარსულსა და აწმყოში. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მოწყალების დის, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის, მარო მაყაშვილის სახელის გაცოცხლება, რასაც ავტორმა გმირი ქალის ცხოვრების ამსახველი წიგნის, „შარავანდედის“ სამი გამოცემა მიუძღვნა. ნანა ღვინეფაძე ეწეოდა ასევე მთარგმნელობით საქმიანობას. დიდი რუსი პოეტის, ანა ახმატოვას ლექსების მისეული თარგმანები მაღალმხატვრულობითა და ორიგინალისადმი ერთგულებით გამოირჩევა. გთავაზობთ ნანა ღვინეფაძის რამდენიმე ლექსს, რომლებიც მისმა დამ, ჩინებულმა მთარგმნელმა რუსუდან ღვინეფაძემ მოგვაწოდა.

## ნანა ღვინეფაძე

### ქართული ტრაგედია

...მე შავი შაშვივით
ზამთარში ჩუმი ვარ,
არ გიმღერ უდროოდ, –
გაზაფხულს ველი...
(ძველი რვეულიდან)

გაზაფხულდაო, —
იმახის შაშვი, —
მე კი ეჭვებში
ვარ გახლართული, —
დაგვიბრუნდება
თბილ ქვეყნებიდან
გადახვეწილი
ჯიში ქართული?!
— გაზაფხულდაო?! —
ნაადრევია, —
თვალს ვერ ახელენ
შიშით იები;
და მველებურად
ფრთებს ვეღარ შლიან
ჯატარძლებივით
მაგნოლიები...
ითრგუნებიან მეოცნებენი, —
მარადიული იკაროსები, —
მომრავლებულა
ჩვენს ქვეყანაში
თავწაკვეთილი კვიპაროსები...
გაზაფხულდაო, —
ყეფს შავი შაშვი,
როგორც ეზოში გაჭრილი ბავშვი...
ღმერთო, უსმინე,
ღმერთო, უსმინე!
იქნებ არ ჩადგეს
სისხლი მველ კვალში!..

* * *

გაზაფხულდაო, —
მაგრამ სიმწვანე
ვერ დავინახე ჯერ
ვაზის რქაში...
ცრემლი თუ მიშლის,
დარდი თუ მიშლის,
და მეჯარება
ტირილი ხმაში...
...გაზაფხულდაო, —
ჭახჭახებს შაშვი,
ეჭვის ბადეში
ვარ გახლართული, —
დაგვიბრუნდება
ცხრა მთის გადაღმა
გადაკარგული
გუნდი ქართული?!
გაზაფხულდაო?!
წინ გვიდევს მარტი,
თვალებს ნაბავენ
შიშით იები, —
მენატრებიან ზღვისპირეთელი
ჯატარძლებივით მაგნოლიები...
მერცხლები ვეღარ
აგებენ ბუდეს
მიტოვებულ და
დანგრეულ სახლში!
— გაზაფხულდაო, !
არ იშლის შაშვი,
როგორც მინდორში
გაჭრილი ბავშვი...
ღმერთო, უსმინე!

1995

### ხვარამზე

ცაო, რა დარდი
მაწვიმე,
რა მძიმე ფიქრით
აღმაგზნე, —
ანანურში
ანანური
თუ არ იქნა,
რაღა მინდა
არაგვზე...
მწარედ მოთქვამს
მდინარეში
ჩახვეული
ხვარამზე...

2000

### მწყემსი კეთილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II აღსაყდრების 30 და გერად კურთხევის 50 წლისთავის გამო.

...ვერ გაიხარა
ქართველმა, —
ყოველდღე
ცოდვა ტრიალებს...
რა ეშველება
ამდენ დარდს,
რა მოაშუშებს
იარებს...
ვერ გაიხარა
ქართველმა,
ყოველდღე ცოდვა ტრიალებს...
მთები დაბზარა
დედების
ვაი-ვიშმა და
მუდარამ, —
რამდენ მზეჭაბუკს
უდროოდ
გადაეფარა სუდარა...

* * *

ერთი პატრონი
გაგვიჩნდა, —
მთების გულს
მოწყვეტილია;
ნამდვილი
მწყემსი კეთილი, —
უნეტარესი ილია!
მისი ლოცვა და
კურთხევა
ზედაშესავით ტკბილია...
ის არის ჩვენი მესია,
ჩვენი მეორე ილია!

2007

### ელეგია, რომელმაც არ დამაძინა

თბილისისა და 100 წლის
მარო მაყაშვილისადმი

მე მაგონდება ის მწარე წლები,,
რომ დაგვავიწყა დიდხანს ღიმილი,
შენი ჭრილობა მტკიოდა ისე,
როგორც ავადმყოფ დედის ტკივილი.
შენი ზარების რეკვაში დღესაც
მესმის აჩეხილ შვილთა კივილი...
მაროს ქვითინიც ჩამესმის თითქოს,
მწუხრზე რომ მისებრ გმირებს
დასტირის, —
და ჩემს ფიქრებში შემოანათებს
ქათქათა მეგლი ტურფა მარტვილის.
შენი ზარების რეკვაში დღესაც
მესმის აჩეხილ შვილთა კივილი...
კვლავ მაგონდება ქაშვეთის სევდა,
რიბი-რაბოზე კვნესა აპრილის...
თავის დაკარგულ საფლავთან მარო
მისებრ განწირულ მოდგმას დასტირის...

2001

№63. ხუთშაბათი, 1 ივნისი, 2023 წელი.

# ანტიჩინური სემინარი სი-ძინ-პინს ვერ შეაშინებს!



**უკრაინის ომმა და რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებამ მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს შორის გეოპოლიტიკური გავლენისთვის ბრძოლა უკიდურესად გაამძაფრა, რაც ყველაზე მკვეთრად პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, კერძოდ, ცენტრალურ აზიაზე აირეკლა. აქ, ერთმანეთს სამი დიდი მოთამაშე უპირისპირდება: კოლექტიური დასავლეთი, რუსეთი და ჩინეთი.**

ამ დრომდე, რეგიონზე გავლენისთვის შეჯიბრში, ყოველთვის რუსეთი ლიდერობდა. დანარჩენი ორი მოთამაშე კი, რუსეთის გავლენას აწონასწორებდა. დღეს, გეოპოლიტიკური სურათი კარდინალურად შეიცვალა. უკრაინის ომისა და სანქციების გამო, რუსეთი დასუსტებულია. ამიტომ, დანარჩენი ორი მოთამაშე გააქტიურდა, რაზეც, რეგიონში დასავლეთისა და ჩინეთის ხშირი დიპლომატიურივოიაჟები, განსაკუთრებით, ბოლო ორ კვირაში გამართული სამი შეხვედრა მეტყველებს: პირველი, ევროკავშირისა და ცენტრალური აზიის წარმომადგენლებს შორის; მეორე, ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ლიდერებს შორის და მესამე, დიდი შვიდეულის შეხვედრა იაპონიაში.

ყველა ამ შეხვედრაზე, ერთ-ერთი მთავარი თემა ცენტრალური აზია იყო, მაგრამ მასმედიისა და ექსპერტების ყველაზე დიდი ყურადღება ჩინეთისა და ცენტრალური აზიის წარმომადგენელთა შეხვედრამ მიიპყრო. მსოფლიო ისტორიაში, მსგავსი რამ პირველად მოხდა. 18-19 მაისს, ჩინეთის ქალაქ სიანში, შედგა სამიტი, სახელწოდებით G-5. შეხვედრაში ცენტრალური აზიის ხუთივე ქვეყნის ლიდერი და ჩინეთის მეთაური სი-ძინ-პინი მონაწილეობდა. წინათ, ჩინეთის ხელმძღვანელი ასეთ შეხვედრებს რუსეთის გარეშე არ აწყობდა ხოლმე. აშკარაა, რომ ჩინეთი ცდილობს მსოფლიო ლიდერი გახდეს. მან სტუმრებს პომპეზურად უმასპინძლა. სი-ძინ-პინმა პირადად განმარტა, თუ რატომ გაიმართა ეს შეხვედრა ქალაქ სიანში. თურმე, სწორედ აქ იწყებოდა დიდი აბრეშუმის გზა. შეხვედრაზე ხელი არაერთ ხელშეკრულებას და მემორანდუმს მოეწერა. მთავარი ხელშეკრულება ეკონომიკურ სფეროში დაიდო. ცენტრალური აზია ჩინეთსა და ევროპას შორის სავაჭრო და სატრანსპორტო ხიდს წარმოადგენს. რუსეთისთვის სანქციების დაწესების შემდეგ, ამ კავშირის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. ყველაფერთან ერთად, ევროპასა და ჩინეთს შორის ნამდვილი სავაჭრო ბუმია. გარდა ამისა, ჩინეთის უსაფრთხოებისთვის, ცენტრალური აზიის რეგიონს დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ, ამიტომ ცდილობს ჩინეთი, რეგიონზე გავლენას. ჩინეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეში დიდ ინვესტიციებს ახორციელებს.

აღნიშნულ შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ ის რეგიონში დამატებითი 4 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციისთვის ემზადება. ჩინეთი, ასევე, დაეხმარება ყირგიზეთსა და უზბეკეთს თანამედროვე რკინიგზის მშენებლობაში, რაც ტრანს-კასპიური გზის გამაგრებას შეუწყობს ხელს. სამიტზე, ასევე, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც თავდაცვის სფეროში ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობის განმტკიცებას ითვალისწინებს, რაც ამ ქვეყნების რუსეთის გავლენისგან დისტანცირების პირდაპირი მცდელობაა. მოკლედ, სამიტმა აჩვენა, რომ ჩინეთი აქტიურად ჩაერთო რეგიონში გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლაში.

დასავლეთიც არ პასიურობს. მიმდინარე წელს, რეგიონს ხშირად სტუმრობს ამერიკისა და ევროპის დელეგაციები. შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთის მიმართ სანქციებია . დასავლეთს სურს, რომ ცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფანი რუსეთისთვის დაიკეტოს, თუმცა, ჯერჯერობით, დასავლეთს ეს არ გამოსდის. 19-21 მაისს, ჰიროსიმაში გამართულ დიდი შვიდეულის შეხვედრაზეც იყო მსჯელობა ცენტრალურ აზიასა და უკრაინის ომზე. შეხვედრაზე უკრაინის პრეზიდენტიც იყო მიწვეული. სამიტზე, რუსეთისთვის სანქციების გამკაცრება გადაწყდა. განიხილეს იმ ქვეყნებისა და კომპანიებს სანქციებით დასჯის საკითხი, რომელიც რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში დაეხმარება.

შვიდეულმა გადაწყვიტა, რომ ისინი რუსეთთან ყოველგვარი ექსპორტის შეზღუდვას შეეცდებიან. როგორც სამიტის კომუნიკეშია აღნიშნული, ექსპორტის შეზღუდვა სამრეწველო მანქანებს, ხელსაწყო-დანადგარებსა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებს შეეხება. ამით, დასავლეთი ცდილობს რუსეთის სამხედრო მრეწველობას ზიანი მიაყენოს.

გასაკვირი იყო, რომ სამიტზე დიდმა შვიდეულმა ჩინეთიც გააკრიტიკა. ადრე, ევროპა და იაპონია, ამერიკისგან განსხვავებით, ცდილობდა, ჩინეთის მიმართ მძიმე ლექსიკა არ გამოეყენებინა. ამჯერად, მათ ჩათვალეს, რომ ჩინეთთან მკაცრად საუბრის დრო დადგა. კომუნიკეში, ასევე, ნათქვამია, რომ დიდი შვიდეული გმობს აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვების მილიტარიზაციას, და ჩინეთს რუსეთის აგრესიის დაგმობისა და მშვიდობის მისაღწევად, რუსეთზე წნეხის განხორციელებისკენ მოუწოდა. ჩინეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა კომუნიკეს და სამიტს ანტიჩინური სემინარი დაარქვა. ამერიკა ყველაფერში ერევა, რაც ჩინეთის სუვერენიტეტის ხელყოფას ნიშნავსო. აი, ასეთი კომენტარი გააკეთა ჩინეთის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

# არაბთა ლიგამ ბაშარ-ასადი გულში ჩაიხუტა...



**საერთაშორისო არენაზე სიურპრიზები არ მთავრდება! ბოლო 12 წელია, სირიის პრეზიდენტის, ბაშარ-ასადის პოლიტიკური იღბალი ბეწვზე კიდია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა საერთაშორისო ალიანსმა, არაბთა ლიგამ, რომელშიც 22 სახელწიფო შედის, 2011 წელს, იმ სისასტიკეთა და დარღვევათა გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს, ჯერ კიდევ მიმდინარე სამოქალაქო ომის ფონზე, სირია კავშირიდან გარიცხა. მაშინ, ასადის ჯინაზე, მისი ოპოზიცია შეიყვანეს გაერთიანებაში. დღეს კი, ნამდვილი სიურპრიზის წინაშე დადგა სამყარო: 19 მაისს, საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში გამართულ სამიტზე, არაბთა ლიგამ სირია თავის რიგებში დააბრუნა. მოყოჩაღებული ბაშარ-ასადი ისევ ამაყად დადგა წინათ-განაწყენებულ თანამოძმეთა შორის.** სამიტის დაწყებამდე, ასადს ზარ-ზეიმით შეხვდა საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე, პრინცი მუჰამედ-იბნ-ალ-სალმან-ალ-საუდი. წინანდელ მტრებს შორის მეგობრული შეხვედრის კადრები ელვის სისწრაფით მოედო მსოფლიოს და ყველანი სახტად დაგვტოვა.

ახალი ვითარების ახსნა, ნაწილობრივ, იმით შეიძლება, რომ რეგიონში პოლიტიკური ტენდენცია იცვლება და არაბი ლიდერები, დღეს, გაწონასწორებულ, პრაგმატულ პოლიტიკას უფრო ესწრაფვიან, ვიდრე, ჩვეული კონფლიქტების გზით სიარულს. ტენდენციის ცვლილებას თავისი კონკრეტული მიზეზი აქვს: ქვეყნების უმრავლესობას, მათ შორის, ახლო-აღმოსავლეთის ერებს, არ სურთ რუსეთსა და დასავლეთს, ან, ჩინეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დაპირისპირებაში მონაწილეობის მიღება. მათი დღევანდელი პრიორიტეტია ნეიტრალური საერთაშორისო პოზიცია. ასეთმა განწყობამ კი, ამერიკასა და სპარსეთის ყურის სახელწიფოებს შორის ერთგვარი გაუცხოება გამოიწვია. გაბრაზებული ამერიკა ცდილობს რეგიონის კონფლიქტებში აქტიურად აღარ ჩაერიოს. კონფლიქტი კი, ძალიან ბევრია.

საერთაშორისო არენაზე შესამჩნევად გააქტიურებული საუდის არაბეთი თავს არაბთა სამყაროს ლიდერად თვლის, და დიდად, არც სხვები ეწინააღმდეგებიან მის ამ პრეტენზიას. ამიტომ, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ კონფლიქტებს რეგიონში დასავლეთმა კი არა, საუდის არაბეთმა მოუაროს. გვახსოვს, რომ, ამასწინათ, საუდის არაბეთმა თავის მოსისხლე მტერს, ირანს, ხელი გაუწოდა, რაშიც ჩინეთმაც თავისი სიტყვა თქვა. ახლა, სირიის დრო დადგა და, საუდის არაბეთი მზადაა ისევ დადებითი როლი ითამაშოს რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად.

სამოქალაქო ომმა სირია საშინლად დააზარალა: მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 12 მილიონამდე ლტოლვილია, 6 მილიონი ადგილზე გადაადგილებული და 6-მა მილიონმა ქვეყანა დატოვა, რომელთა უმრავლესობა მეზობელ ქვეყნებში ცხოვრობს.

ომში, რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანა ასადის ოპოზიციას უწევდა სამხედრო და ფინანსურ დახმარებას, მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა მისი გადაგდება. ომით გამოწვეული პრობლემები არა მხოლოდ სირიას, არამედ, მთელ რეგიონს დააწვა. ასადის შემორიგებით, არაბთა ლიგის ქვეყნები მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ლტოლვილების შინ დაბრუნებაა. ასეთივე მნიშვნელოვანია, ნარკოტრაფიკისა და რადიკალური ისლამური დაჯგუფებების გაკონტროლება. სირიის არაკონტროლირებადი ტერიტორია მათ ბაზებად გადაიქცა. დაფიქრებას იწვევს ასადის რეჟიმის ირანთან დაახლოებაც. ერთი სიტყვით, ამ და კიდევ სხვა პრობლემების გადაწყვეტა რეგიონში ბაშარ ასადის გარეშე არ გამოდის. მისი რეჟიმის ლეგიტიმაციას ზოგიერთი ქვეყანა მძაფრი კრიტიკით შეხვდა. მაგალითად, ყატარმა, რომელიც სირიელი მეამბოხეების შეიარაღებას განაგრძობს, განაცხადა, რომ ხელს კი მოაწერს სირიის ხელახალ გაწევრიანებას არაბთა ლიგაში, მაგრამ, ჯერჯერობით, თავს შეიკავებს დამასკოში საელჩოს გახსნისგან. ქუვეითი და მაროკოც სკეპტიკურად არიან განწყობილი.

სირიასთან აღდგენილი მეგობრობის მთავარი კრიტიკოსები დასავლეთი და სირიელი ლტოლვილები არიან. მათ ბევრ ქვეყანაში გააპროტესტეს ეს ფაქტი. ხმამაღლა ამბობენ, რომ არაბულმა ლიგამ ხელი დაიბანა, რომელსაც არ აწუხებს მილიონი ადამიანის სიკვდილი და ლტოლვილების გაჭირვება. დასავლეთმაც მწვავედ გააკრიტიკა არაბთა ლიგის ეს საქციელი. ბრიუსელში განაცხადეს, რომ არაბულმა სახელმწიფოებმა თავიანთი ცინიკური რეალ-პოლიტიკა ჰუმანისტურ პრინციპებზე მაღლა დააყენეს. ბაიდენის ადმინისტრაციამ კი, მკაცრად გააფრთხილა ეს ქვეყნები, რომ სირიას და ირანს სანქციები აქვთ დაწესებული და სირიასთან დამეგობრება ამერიკასთან კეთილ ურთიერთობას მხოლოდ გაართულებს.

# ამერიკამ გლობალისტთა შეცდომები ვერ გამოასწორა!




**დასავლეთში, ზოგადად და, კერძოდ, ამერიკაში დღითი დღე იზრდება ანტი-გლობალისტური განწყობა. რესპუბლიკური პარტია არასოდეს არ ემხრობოდა გლობალისტებს. დონალდ ტრამპმა, საპრეზიდენტო არჩევნებში, სწორედ ანტიგლობალისტურ პლატფორმაზე მიაღწია გამარჯვებას, რაც გლობალიზაციის კრიტიკასა და ეკონომიკური პროტექციონიზმის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. დემოკრატები კი, ყოველთვის გლობალიზაციისა და ნეო-ლიბერალური პოლიტიკის მომხრენი იყვნენ, მაგრამ გლობალიზაციის მიმართ, უკვე მათ პარტიაშიც გაჩნდა უარყოფითი განწყობა. ბევრი დემოკრატი კონგრესმენი აკრიტიკებს მოვლენას.**

დასავლეთის ლიბერალი პოლიტოლოგები მსჯელობენ, თუ რატომაა დასავლეთის მოსახლეობა უკმაყოფილო გლობალიზაციით. ცივი ომის ხანაში, ნეოლიბერალიზმი ყვაოდა, და დასავლეთმა მისი დამთავრების შემდეგაც განაგრძო ასეთი პოლიტიკა. მეოცე საუკუნის მიწურულს, ნეო-ლიბერალიზმს წყალი შეუდგა, რომლის მთავარი მიზეზი დასავლეთის კომპანიების აზიაში გადატანა იყო. დასავლეთი მუდამ თავისუფალი ბაზრისა და ღია სავაჭრო გზების მომხრე იყო, მაგრამ მათი კომპანიების აზიაში გადასვლამ უმუშევრობა და მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია. მხოლოდ კომპანიათა მფლობელები გამდიდრდნენ. დასავლეთის მუშახელმა აზიასთან კონკურენციას ვერ გაუძლო. ექსპერტებმა განგაში ატეხეს, რომ გლობალიზაციას სიმდიდრის არათანაბარი განაწილება მოჰყვა, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. გახშირდა გაფიცვები და დემონსტრაციები.

დონალდ ტრამპი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ეკონომიკური პროტექციონიზმის დანერგვა მოითხოვა, თან, მისი მოსაზრება ციდან არ ჩამოვარდნილა. გლობალიზაციის გამო, ამერიკაში მართლა უამრავი საწარმო გაკოტრდა, რის გამოც, არაერთი ამერიკული ქალაქი გაღატაკდა, მაგალითად, ავტომშენებელთა ცნობილი ქალაქი დეტროიტი. საჭირო გახდა დასავლელ გლობალისტთა შეცდომების გასწორება. დემოკრატმა კონგრესმენმა, რიჩარდ ნილმა, განაცხადა, ამერიკის სავაჭრო პოლიტიკა სამუშაო ადგილების ან მუშათა უფლებების ხარჯზე არ უნდა ტარდებოდესო. ამერიკელ ექსპერტებს ხშირად მოჰყავთ ფრანკლინ რუზველტის ცნობილი New Deal-ის ანუ ახალი გარიგების მაგალითი.

მაშინ, დიდი დეპრესიის დროს, პრეზიდენტმა რუზველტმა ლიბერალური პოლიტიკის გადახედვა დაიწყო და საზოგადოებას გამოსავალი შესთავაზა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას ითვალისწინებდა. თუ დასავლელ პოლიტიკოსებს ანტიგლობალისტური გავლენის შეჩერება სურთ, მაშინ, გლობალიზაციასა და შიდა ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის ბალანსი უნდა დაიცვან. თუ არადა, დასავლეთის ეკონომიკას სერიოზული რყევები ელოდება.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV




# ყველა ერთად გამო-ხაზევდა!..

(მესამე გვერდიდან) ექსპრეზიდენტის საკითხის გააქტიურება, მმართველი გუნდის შეფასებით, ხანმოკლე პოლიტიკური გზავნილია. საპარლამენტო უმრავლესობის თქმით, სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან არასდროს წასულა, მისი პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა კი ქვეყნისთვის მხოლოდ საზიანო იყო.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ რეალურად მიხეილ სააკშვილი პოლიტიკიდან არ წასულა. მისი ბოლო განცხადებები და მანამდეც, პოლიტიკას ეხებოდა. ძაბირაძე ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" სააკაშვილის გათავისუფლებას ვერ ახერხებს და რაღაცა ხომ უნდა მოიფიქრონ, რაც გათავისუფლებაზე მეტია.



**„ნაციონალური მოძრაობის" პირობა გათავისუფლება იყო, ამას ვერ ახერხებენ, ახლა კი ცდილობენ თქვან, რომ ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილი უნდა დააბრუნონ. მათი მიზანია, რომ სააკაშვილის ამომრჩეველი დაიბევონ 2024 წლისთვის და აჩვენონ ამ ხალხს, რომ ის მათ გვერდით დგას. რაც შეეხება სააკაშვილის პოზიციას, მასაც სხვა გზა არ აქვს. საუბარმა, რომ პოლიტიკაში აღარ ერეოდა, არ გაამართლა, არავინ დაუჯერა. მოკლედ, ეს ფანდი ხელისუფლებასთან არ გაუვიდა.**

**ამიტომ ახლა ტაქტიკას რადიკალურად შეცვლიან და პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთვება. ასე დღევანდელ „ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელობას ძალიან აწყობს. აბა, სააკაშვილის გარეშე ვინ რას წარმოადგენს. თუმცა, რეალურად, მას მართვაში კი არ ჩართავენ, უბრალოდ, სახელად წინ წაიმძღვარებენ, დანარჩენ ყველაფერს თავად წარმართავენ. თუმცა, როგორც კი სააკაშვილი განაცხადებს, რომ ის პოლიტიკაში ისევ აქტიურად შემოდის, მაშინვე ციხის საკანში დააბრუნებენ.**

**ალბათ, ამას გაითვალისწინებს და წესით, მზად უნდა იყოს. ალბათ, ცოტა ჭამასაც დაიწყებს, მოღონიერდება და სექტემბრისთვის უკვე პოლიტიკურად უფრო გააქტიურდება. უბრალოდ, მისი გააქტიურება ავტომატურად ციხეში გადაყვანას გამოიწვევს და იმის აღიარებას, რომ მისი წამების და მომაკვდავოზის შესახებ განცხადებები მოგონილი იყო. ეს ლობისტებში გადახდილი ფული უკვე თავისთავად წყალშია გადაყრილი, იმიტომ, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, სხვა არც არაფერი აღარ დარჩენიათ".**

მისივე თქმით, დღევანდელ „ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელობას, დაპირება აქვს გაცემული, რომ სააკაშვილს გაათავისუფლებენ, თუმცა ფაქტია, რომ ეს მცდელობა ჩაფლავდა. ძაბირაძის თქმით, ხაზეიშვილი „ვივამედში" მართლა ხომ არ შევარდება და რომც შევარდეს, ყველამ კარგად იცის, სააკაშვილს გვერდით მიუსვამენ.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძეც** ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილს რეალურად სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ პოლიტიკურად გააქტიურდეს. საყვარელიძე for.ge-სთან მიიჩნევს, რომ მისთვის ყოველთვის გასაკვირი იყო, რატომ აირჩიეს ის ტაქტიკა, რაც თითქოს მისი პოლიტიკიდან დისტანცირება იყო და მისი იმიჯი მებრძოლი პოლიტიკოსის მაგივრად, მომაკვდავ და საწყალ ადამიანად აქციეს.

**„რა თქმა უნდა, ყველა გზა სცადეს და რეალურად ნახეს, რომ არაფერი გამოუვიდათ, ამიტომ მისი პოლიტიკაში ისევ აქტიურად შემოყვანა გადაწყვიტეს, მით უმეტეს ნაციონალების ახალი მენეჯმენტი ხედავს, რომ ამ დაპირისპირებამ და ერთმანეთთან ბრძოლამ პარტია დააზიანა და სააკაშვილის გარეშე 2024 წლის არჩევნებში იმ რეიტინგსაც დაკარგავენ, რაც აქვთ. ესეც სააკაშვილის მეშვეობით აქვთ და მერაბიშვილ-კეზერაშვილს მხარს არც არავინ უჭერს. ახლა ტაქტიკას შეცვლიან, უცბად გამოაცოცხლებენ და იტყვის, რომ უკეთ არის და პოლიტიკაში დაბრუნდა. თუმცა, მის დაბრუნებას აღარც ფასი აქვს და აღარც რაიმე ღირებულება.**

**მე ყოველთვის მიკვირდა, რატომ გადაწყვიტეს ამ მიმართულებით წასვლა. სისულელე იყო საუბარი მის მომაკვდაობაზე და ხელისუფლების მხრიდან წამებაზე. ხომ ფაქტია, რომ რეალურად ამის არავის სჯერა და არ სჯერათ დასავლეთშიც, გარდა იმ ევროპარლამენტარებისა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მიიმხრეს, სხვას არავის სჯერა. თუ ლობისტებს ფული არ გადაუხადე, დასავლეთში სტატიები არ გამოაქვეყნეს, ეს კაცი არც არავის არ ახსოვს. ახლა, მით უმეტეს კეზერაშვილის წინააღმდეგ დასავლეთში კითხვის ნიშნები გაჩნდა და სააკაშვილი, ალბათ, მასაც დასჭირდება, რათა მისი გავლენები, ცნობადობა და ა.შ გამოიყენოს. თუმცა, რეალურად არსებულ სურათს მაინც ვერაფრით შეცვლიან",** — ამბობს საყვარელიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ვასო აბრამიშვილის (პ/ნ 38001035418) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკში მდებარე (ს/კ 35.04.47.235) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1080 კვ.მ ფართობის მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 461 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 19 მაისის 1-1/196 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკში მდებარე (ს/კ 35.04.47.235) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1080 კვ.მ ფართობის მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 461 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ასმათ ჭიღლაძის (პ/ნ 38001000301), თორნიკე ჭიღლაძის (პ/ნ 38001043314) და შოთა ჭიღლაძის (პ/ნ 38001042971) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 35.04.45.095), ფართობით 230 კვ. მეტრი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 19 მაისის 1-1/196 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 35.04.45.095), ფართობით 230 კვ. მეტრზე, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე და მრავალწლიან ნარგავებზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება). ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ოვალური ბურთი



# სტუმარიც გვაქებს

**ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი ლევის ჩესამი საქართველოში არსებული სავარჯიშო და სათამაშო პირობებით კმაყოფილია.**

მას და კიდევ რამდენიმე მორაგბეს, 27 მაისს „ავჭალაზე“ გამართულ პირველ ტესტ-მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ და ახლა მოუთმენლად ელიან მეორე თამაშს, რომელიც ასევე „ავჭალაზე“, დღეს 16 საათზე დაიწყება. პირველი ჯახი სტუმრებმა დასკვნით 5 წუთში გატანილი ორი გარდასახული ლელოთი 41:36 მოიგეს.

ჩესამი დარწმუნებულია, რომ ინგლისს საქართველოსთან მეორედაც დაძაბული მატჩი ექნება:

**„შესანიშნავ გარემოში ვემზადებით მეორე თამაშისთვის. აქ ყველაფერი მაღალი სტანდარტისაა – სავარჯიშო მოედანიც და სათამაშოც. პირველი თამაშის შემდეგ ჩვენმა რამდენიმე მორაგბემ აღნიშნა კიდეც, რომ ასეთ მოედანზე იშვიათად გვიწევს თამაში. თქვენთან ძალიან კარგი, მოვლილი სტადიონებია და გულშემატკივარიც კარგი იყო ატმოსფეროს შექმნაში.**

**რაც შეეხება თამაშს, აქ მოულოდნელობები არ ყოფილა, რადგან ვიცოდით, რომ საქართველოს კარგი, ძალისმიერი გუნდი ჰყავს და ამისათვის მზად ვიყავით. კარგ ბრძოლას ველით მეორე თამაშშიც.**

**ექვსი ერის გუნდები მიჩვეული ვართ მაღალი სტანდარტის რაგბს. საქართველო არაა ექვსი ერის წევრი, თუმცა მათ დიდ კონკურენციას უწევს. ყველამ ვნახეთ რა დღეში ჩააგდეს შარშან ქართველებმა შოტლანდიელები და როგორ აწერვიულეს და არბენინეს უელსელები. დიახ, საქართველო კონკურენტუნარიანი გუნდია და მის წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის ზევრის მომტანი იქნება“.**

ლეგიონერი

# მილანში – 10 მილიონად?



**საქართველოს ნაკრებისა და „მეცის“ თავდამსხმელის, გიორგი მიქაუტაძის „მილანში“ შესაძლო ტრანსფერზე ბოლო დღეებში დაიწერა. ამჯერად გამოცემა calcholaine იტყობინება, რომ პაოლო მალდინი ხარისხიან თავდამსხმელს ეძებს, თანაც ხელმისაწვდომ ფასად, ამ კრიტერიუმებს კი 22 წლის ქართველი აკმაყოფილებს.**

**„გიორგი მიქაუტაძე „მილანს“ ახლახან დაუკავშირეს. „როსონერის“ მენეჯმენტი აკვირდება ფეხბურთელს, რადგან შეტევაში შემადგენლობას განახლება სჭირდება. ტექნიკური დირექტორი პაოლო მალდინი ცდილობს მოძებნოს ხარისხიანი და შედეგიანი თავდამსხმელები ხელმისაწვდომ ფასად. 22 წლის ქართველმა ფეხბურთელმა საფრანგეთის ლიგა 2-ის 35 მატჩში 23 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, მისი ფასი დაბალია და „მილანი“ 10 მილიონი ევროს შეთავაზებით იმედოვნებს, რომ ტრანსფერის წარმატებით დახურვას მოახერხებს“,** – წერს calcholaine.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მიქაუტაძეს „მეცთან“ კონტრაქტი 2026 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. ქართველ ფეხბურთელს აქამდე „ბარნლის“, „უდინეზესა“ და „ჯენოასაც“ უკავშირებდნენ.

კორტზე

# სასტარტო სენსაცია



**საფრანგეთის ღია პირველობა, მისი ერთ-ერთი ფავორიტის გარეშე დარჩა – ტურნირს რუსი დანიილ მედვედევი გამოეთიშა. ის საკვალიფიკაციო ეტაპგამოვლილ ბრაზილიელთან, ტიაგუ სიბოტ უაილდთან, 7-6(5), 6-7(6), 2-6, 6-3, 6-4 დამარცხდა.**

სიბოტ უაილდს ამ სეზონში, თიხნარ კორტებზე ორი ჩელენჯერი აქვს მოგებული, თუმცა მისგან მსოფლიოს მეორე ჩოგანთან გამარჯვებას არავინ ელოდა. რუსს რომის მასტერსი აქვს მოგებული და პარიზშიც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ ბრაზილიელის სისწრაფეს და ძლიერ დარტყმებს საკმაოდ მონოტონური თამაში დაუპირისპირა, რასაც მსაჯთან ხშირ კამათს „უზავებდა“. შეხვედრა ხუთსეტიანი გამოდგა და ოთხი საათი და 15 წუთი გრძელდებოდა.

**„დანიილის თამაშს ბავშვობიდან ვუყურებ და ამ კორტზე მისი დამარცხება ჩემთვის ოცნების ასრულებაა. მეტწილად ფორჩჰენდით (წაღმა დარტყმა) ვთამაშობდი და ამან კარგად იმუშავა. მეორე სეტის დასაწყისში, კუნთის კრუნჩხვა დამეწყო, მაგრამ მაინც ბრძოლისთვის განვეწყვე და ამან ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის თამაშის საშუალება მომცა“,** – განაცხადა სიბოტ უაილდმა, ვისაც რეიტინგში 172-ე ადგილი უკავია.

მედვედევმა შეხვედრის დასაწყისშივე მიაღწია ბრეიკს, მაგრამ მეოთხე გეიმში სიბოტ უაილდმა მშრალად მოუგო გეიმი და ანგარიში გაათანაბრა. სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც ბრაზილიელი უფრო სტაბილური იყო და მან ანგარიში გახსნა. მეორე სეტიც მსგავსი სცენარით წარიმართა და ამჯერადაც, უკეთესის გამოსავლენად, ტაიბრეიკი გახდა საჭირო. აქ მედვედევმა ორი სეტ პოინტის მოგერიება შეძლო, რის შემდეგაც თავად გაუჩნდა შანსი. და ამჯერად, სიბოტ უაილდის დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა – სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

მესამე სეტი ფაქტობრივად ცალმხრივი აღმოჩნდა – ის რუსმა იოლად მოიგო, რის შემდეგაც მისმა მეტოქემ სამედიცინო დახმარება მოითხოვა – მას ცხვირიდან სისხლი წასკდა და გარდა ამისა, თითიც იტკინა. მიუხედავად ამისა კორტზე დაბრუნებულმა სიბოტ უაილდმა სეტებში ანგარიში გაათანაბრა

გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ბრაზილიელმა ზედიზედ ორი გეიმი მოიგო. მეექვსე გეიმში მედვედევმა ანგარიში გაათანაბრა – 3-3. მაგრამ სიბოტ უაილდმა მეშვიდე გეიმშივე კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის გეიმი და 4-3 დაწინაურდა. ეს საკვანძო მომენტი გამოდგა, რადგან რუსმა ანგარიში ვეღარ გაათანაბრა.

# ქართველებს პრიორიტეტი უნდა ჰქონდეთ დასაქმებისა, რადგან ეს ქართველების ქვეყანაა

# SOS!




# ქართველები გადიან, რუსები შემოდიან!..

**საქართველოში რუსების მასობრივი ჩამოსვლის შემდეგ გაიზარდა ვაკანსიები, სადაც დამსაქმებლები რუსული ენის ცოდნას ითხოვენ. არსებული ინფორმაციით, 2023 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით საქართველოში რუსებისთვის დასაქმების შეთავაზება 160%-ითაა გაზრდილი გასულ წელთან შედარებით.**

ამოქმედებულია რუსული დასაქმების პლატფორმა Headhunter-იც, რომლის მეშვეობითაც, 2023 წლის მხოლოდ იანვარ-მარტში რუსეთის მოქალაქეებმა 9000-ზე მეტი სამუშაო შეთავაზება მიიღეს საქართველოდან. ხელფასები ამ საიტზე 500-დან 1500 ლარამდეა და დასაქმების არეალიც მრავალფეროვანია.

**„რუსი გიდების რაოდენობა უკვე საგანგაშოა“,** – აცხადებენ ტურიზმის სფეროში დასაქმებული ქართველი გიდები და სახელმწიფოსგან რუსების დასაქმებაზე შეზღუდვის დაწესებას ითხოვენ.

შრომით ბაზარზე დასაქმების დროს რუსებთან შედარებით საქართველოს მოქალაქეებისთვის უპირატესობის მინიჭებას მოითხოვს **ანა დოლიძეც.** პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი პარლამენტს მიმართავს და კოლონიზაციის საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ სამსახურში დასაქმების დროს პრიორიტეტი ქართველს რომ უნდა ჰქონდეს საქართველოში, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ ეს ყველაფერი ქსენოფობიურ მიდგომაში არ უნდა გადავიდეს და ეროვნულ შუღლში არ უნდა გადაიზარდოს, ამ ყველაფერს გარკვეული ჩარჩოები და საზღვრები უნდა ჰქონდეს, რადგან სამარცხვინო ფაშიზმია, რაც ქსენოფობიაში გამოიხატება.

**„ფაშიზმის ბაცილა ჩვენს ქვეყანაში არ უნდა გავახაროთ. რა თქმა უნდა, ქართველებს პრიორიტეტი უნდა ჰქონდეთ ყველაფერში, რადგან ეს ქართველების ქვეყანაა და შემოსული უნდა იყოს შემოსული, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ფაშიზმის ფარგლებში. ახლა ზოგიერთებს ისიც აღიზიანებთ, რუსებს რომ ხედავენ ქუჩაში. პრაღაში რომ ჩახვიდეთ, სულ ტურისტებითაა სავსე იქაურობა, მათ შორის, რუსი ტურისტებით, ყველა რჯულის და ეროვნების წარმომადგენლები არიან პრაღაში, მაგრამ ტურისტები იმ ქალაქის შემოსავალია, იმით ცხოვრობს იქაური მოსახლეობა. ამდენად, ტურისტი რატომ უნდა აღიზიანებდეთ?! 21-ე საუკუნეში ვინ რომელ ქვეყანაში ჩავა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ქართველებიც ჩადიან სხვა ქვეყნებში, სულ რაღაც ოთხი მილიონი ვართ და ყველგან არიან ქართველები მოფენილნი. მესმის, რომ რუსეთის მხრიდან ოკუპაციის გამო ხალხის ნაწილი გაღიზიანებულია, მაგრამ ერთი მითხარით, რომელი მეზობელი გვყავს, რომელსაც ჩვენი მიწები არა აქვს წართმეული“,** – თქვა ნანა კაკაბაძემ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ რუსების მასობრივი დასაქმება პოლიტიკური დისკრიმინაციაა და ამან ეროვნულ უსაფრთხოებაზე დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს.

**ქართველები გადიან საქართველოდან და რუსები შემოდიან, ეუფლებიან უძრავ ქონებას, ფაქტობრივად, ეს არის დაკაბალება ჩვენი მოსახლეობის. ამიტომ საჭიროა გარკვეული აკრძალვა რუსების მხრიდან საქართველოში ქონების შეძენაზე. უკვე დაგვიანებულიცაა აკრძალვის დაწესება, რადგან ბევრი რამ იყიდეს რუსებმა საქართველოში.**

**„რა გამოდის? რუსი მოქალაქეები საქმდებიან საქართველოში და შეიძლება მერე ამ ხალხმა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მიიღოს მონაწილეობა, ეს უკვე პოლიტიკური გადატრიალებაა. ეს არის ჰიბრიდული ომის სახე, რუსეთი აწარმოებს ჰიბრიდულ ომს საქართველოს წინააღმდეგ. განა შეიძლება, რუსი მოქალაქე იღებდეს ფინანსურ სარგებელს და ქართველები თავის ტერიტორიაზე იყვნენ აპარტეიდის მდგომარეობაში. პოლიტიკური მერკანტილური ზომებია მისაღები. როგორც წესი, ეკონომიკაში მერკანტილური და პროტექციონისტური ზომები არ არის პოპულარული, მაგრამ პოლიტიკური პროტექციონისტური ზომები ნამდვილად არის მისაღები. ეს ფარული შემოსევაა, გეოპოლიტიკური ექსპანსიაა საქართველოს წინააღმდეგ“,** – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ანალიტიკოსი განმარტავს, რომ ამისთვის საჭიროა ოკუპაციის კანონის ზედმიწევნით დაცვა, უნდა მივიღოთ ზომები, რომ ის რუსი მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არ შემოვიდნენ საქართველოში. ვახტანგ მაისაიას ინფორმაციით, ფაქტობრივად, ყველას უშვებენ საქართველოში, ოკუპაციის კანონი არ მუშაობს და არავინ არ აქცევს ამას ყურადღებას.

ანალიტიკოსი საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტსაც, რომ ქართველები გადიან საქართველოდან და რუსები შემოდიან, ეუფლებიან უძრავ ქონებას, ფაქტობრივად, ეს არის დაკაბალება ჩვენი მოსახლეობის. ამიტომ საჭიროა გარკვეული აკრძალვა რუსების მხრიდან საქართველოში ქონების შეძენაზე. უკვე დაგვიანებულიცაა აკრძალვის დაწესება, რადგან ბევრი რამ იყიდეს რუსებმა საქართველოში.

**მანანა ნოზაძე**

# მამადავითობა თბილისში



**1 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მამადავითობას აღნიშნავს თბილისში.**

...ღირსმა დავითმა მოღვაწეობა ჯერ თბილისში დაიწყო, ხოლო შემდეგ გარეჯში, თბილისში ის ბერ ლუკიანესთან ერთად ქალაქის დასავლეთით, მთის ფერდობზე, გამოქვაბულში დასახლდა და იქვე პატარა სამლოცველო მოაწყო. ბერები მხოლოდ მცენარეებით იკვებებოდნენ, წმიდა მამებთან უამრავი ხალხი მოდიოდა აღსარებისთვის. მამა დავითი უსმენდა მათ და სინანულისკენ და შენდობისკენ მოუწოდებდა.

საგულისხმოა, რომ ხუთშაბათობით ის ქალაქში ჩადიოდა და ქადაგებით ამხნევებდა ხალხს, რწმენის განმტკიცებაში ეხმარებოდა, მისი ლოცვით გამოქვაბულთან ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა.

**P. S. დავით გარეჯის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი „მადლის ქვა" სიონის საკათედრო ტაძარში ინახება.**

# „მოდიოდა ნინო მთებით, მოდიოდა..."



**1 ივნისს წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლას ვდღესასწაულობთ.**

...პატარა ნინო ხშირად ისმენდა ამბებს ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომაზე, სამოსელსა და კვართზე, რომელიც მცხეთიდან მოსულ ურიებს ერგოთ წილად. მაშინ ჩაესახა მას გულში სურვილი, ეპოვა უფლის კვართი და თაყვანი ეცა მისთვის, რასაც დაუღალავად შესთხოვდა ღვთისმშობელს ლოცვისას.

**...ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეისმინა თავისი მხევლის ლოცვა, სიზმრად ეჩვენა მას და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ ივერთა ქვეყანას და იქადაგე იქ სახარება ძისა ჩემისა იესო ქრისტესი, და ვიქნები შენი მფარველი და შემწე".**

...და, აი, ჯვრით ხელში მოადგა ნეტარი ქალწული ჯავახეთის მთებს. ...იდგა ივნისი, მაგრამ მთები დათოვლილი იყო. ნინომ ლოცვა აღავლინა, ფარავნის ტბასთან ორი დღე დაჰყო, საზრდო მეთევზეთაგან მიიღო, ამით ძალა მიეცა, შემდეგ მენახირეებს სადაურობა ჰკითხა; მათ უპასუხეს, დიდი ქალაქის, მცხეთის მკვიდრნი ვართო.

მეჯოგეებმა მოციქულთა სწორს მცხეთის გზა მიასწავლეს და ისიც გაემართა დასავლეთისკენ... მძიმე გზებით იარა ნეტარმა, ძლივს გადაურჩა მხეცებს, ის მხოლოდ ლოცვაში ჰპოვებდა შვებას... ურბნისიდან მცხეთისკენ გაეშურნენ მენახირეები და მგზავრები, რათა არმაზისთვის ეცათ თაყვანი, მათ გაჰყვა ნეტარი ნინოც. ასე ჩავიდა იგი მცხეთას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II თავის ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს, რომ წმინდა ნინო არის საქართველოს მფარველი, ჩვენი ერის განმანათლებელი.

**გიული ლიპარტია**

# გარდაიცვალა ცნობილი ფოტო-რეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე



**ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე რამდენიმე დღე კლინიკაში, რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდა.**

**ზურაბ ქურციკიძე ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოტორეპორტიორი იყო.**

---

ვიზიარებ ოჯახის, ახლობლების მწუხარებას

## ზურაბ ქურციკიძის

**გარდაცვალების გამო, რაც მოხდა თავის დროზე უკანონო დაპატიმრების სახით, იყო ნიღბის ჩამოხსნა მაშინდელი რეჟიმის მიერ.**

**ირაკლი კობახიძე**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ფოტოკორესპონდენტის, სააკაშვილის რეჟიმის უკანონო პატიმრის, საქართველოს პირველი არხის ფოტორეპორტიორის**

## ზურაბ ქურციკიძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებსა და სამეგობროს.**

---

**შალვა მგალობლიშვილი, იური ჭოლოკავა, ჟორა სალარაძე, ზამირ მაჩიტაძე, ჯემალ მებუკე, თამაზ ეძგვერაძე იუწყებიან მეგობრის**

## დუდარ სანაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

# ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს რუსეთის მოქალაქეების დეპოზიტებზე ლიკვიდობის მოთხოვნა გაუზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კომერციულ ბანკებს უცხოელების მიერ განთავსებულ დეპოზიტებზე ლიკვიდობის მოთხოვნა გაეზარდათ.

**„ფინანსურმა კომიტეტმა არარეზიდენტების უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე ლიკვიდობის მოთხოვნის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განთავსებული დეპოზიტებისთვის, რეზიდენტებთან შედარებით, ლიკვიდობის უფრო მაღალ მოთხოვნებს ინარჩუნებს, რაც მსგავსი დეპოზიტების ისტორიულად ნაკლებად სტაბილური ხასიათით არის განპირობებული. რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში რუსეთის რეზიდენტების მიერ უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები, რაც ერთიანი კონცენტრაციის რისკს ქმნის და ლიკვიდობის პოზიციაზე უარყოფითად მოქმედებს. ამასთან, თუ წინა წელს აღნიშნული თანხები ბანკების მიერ ძირითადად ლიკვიდურ აქტივებში ინახებოდა, 2023 წლის დასაწყისიდან შეიმჩნევა ამ თანხების გამოყენება ძირითადად სხვა, შედარებით ძვირი რესურსის გასტუმრებისთვის. ვინაიდან კაპიტალის ამ შემოდინებას შესაძლოა დროებითი ხასიათი ჰქონდეს, მიზანშეწონილია მათი ლიკვიდურ სახსრებში შენარჩუნება. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა რუსეთის რეზიდენტების უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებისთვის ლიკვიდობის მოთხოვნის (გადინების განაკვეთის) 80%-მდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული განაკვეთი 30-40%-ის ფარგლებში იყო. ცვლილებები ძალაში პირველი სექტემბრიდან შევა",** — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ძაღლების ღია სივრცეში სეირნობის წესების დარღვევის გამო ჯარიმები გამკაცრდა

**პარლამენტმა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებას პირველი მოსმენით, 80 ხმით მხარი დაუჭირა.** ცვლილება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს იმ მეპატრონეებისთვის, რომლებიც ძაღლის ღია სივრცეებში, მათ შორის, ბულვარში, პარკსა და სკვერში გასეირნების წესებს დაარღვევენ.

**ძაღლის საბელის ან ალიკაპის გარეშე ყოლა ღია სივრცეებში, მათ შორის ბულვარში, პარკში ან სკვერში გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 150 ლარით, ნაცვლად 20 ლარისა. განმეორებით წლის განმავლობაში ჩადენილი იგივე ქმედება გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 300 ლარით, ნაცვლად 50 ლარისა.**

**კანონპროექტი ასევე, შეეხება თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნას, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა. აღნიშნული ქმედება გამოიწვევს პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა — პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.**



# ნატო კოსოვოში დამატებით 700 ჯარისკაცს განათავსებს

**„ნატოს ძალები მიიღებენ ყველა საჭირო ზომას კოსოვოში ყველა მოქალაქისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შესანარჩუნებლად. ჩვენ განვაგრძობთ მიუკერძოებელ მოქმედებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატის შესაბამისად. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დასავლეთ ბალკანეთში ოპერატიული სარეზერვო ძალებიდან კიდევ 700 ჯარისკაცი განვათავსოთ და მზადყოფნაში გვყავდეს სარეზერვო ძალების დამატებითი ბატალიონი, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი განლაგებაც",** — აღნიშნავს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.

# შვედეთის ბედი თურქეთსა და უნგრეთზეა დამოკიდებული

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი თურქეთსა და უნგრეთს მოუწოდებს, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ შვედეთის ნატოში გაწევრიანების დოკუმენტის რატიფიცირება.** მისივე თქმით, არ არსებობს მიზეზი, რის გამოც შეიძლება, ეს პროცესი გაიწელოს.

**„ნატოში გაწევრიანებით შვედეთი იღებს ვალდებულებას ყველა სხვა მოკავშირის უსაფრთხოებაზე. ამ ვალდებულებებში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. რა თქმა უნდა, ყველა სხვა მოკავშირეც პასუხისმგებელი იქნება შვედეთის უსაფრთხოებაზე. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას, რათა ბოლომდე მივიყვანოთ შვედეთის გაწევრიანების პროცესი იმ დრომდე, სანამ ლიდერები შეიკრიბებიან ვილნიუსში ნატოს სამიტზე",** — აღნიშნა ბლინკენმა შვედეთის პრემიერ-მინისტრ ულფ კრისტერსონთან საერთო პრესკონფერენციისას.

# ბავშვთა დაცვის დღესასწაულს ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკი მასპინძლობს



მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს თბილისის მერია, ტრადიციულად, საბავშვო ღონისძიებებით ეგებება. ღონისძიება გაიმართება ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში (წითელ ბაღში). წარმოდგენილი იქნება საბავშვო კონცერტი, თოჯინების თეატრის წარმოდგენა, კოსტიუმირებული წარმოდგენები და თითების თეატრი.

გაიმართება საბავშვო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა;

იფუნქციონირებს ხატვისა და ილუსტრაციის კუთხე, ასევე გულსაბნევების დასამზადებელი სადგური, მეზღაპრის კუთხე, ფოტოზონა; გაიმართება საპნის ბუშტების შოუ, ქიმიური ექსპერიმენტების შოუ და ფერადი ქაფების შოუ, კარნავალი და ა.შ. ღონისძიება ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში 16:00 საათიდან დაიწყება.



## ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების გაცვლითი პროგრამა ლენტეხში

**ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების გაცვლითი პროგრამა ლენტეხში 1-2-3 ივნისს გაიმართება.**

პროექტში მონაწილეობს: **ლენტეხის, გორის, საჩხერის სალოტბარო სკოლებისა და „ფოლკლორის სახლის" (თუშები) 120 ბავშვი, რომელთა ასაკი განსაზღვრულია 10-დან 18 წლამდე. ჩართულები არიან სკოლების ლოტბარ-რეგენტები, მშობლები, მოხალისე-ლიდერები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია, ოსტატები, ანსამბლები.**

**1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს – სვანი, იმერელი, თუში და ქართლელი ბავშვები ერთად აღნიშნავენ!**

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა 2015 წლიდან სხვადასხვა ქალაქებში 30 სალოტბარო სკოლა დააარსა. ცენტრმა უკვე განახორციელა ოზურგეთი-წალენჯიხისა და გორი-ლენტეხის გაცვლითი პროგრამები.

## მიმდინარეობს უკრაინიდან გატაცებული ბავშვების „დამუშავება"



**რუსული ოპოზიციური მედია საკუთარ ტელეგრამ არხზე უკრაინიდან გატაცებული ბავშვების შესახებ წერს და ხაზგასმით აღნიშნავს, „ყველაფერს აკეთებს რუსეთის ხელისუფლება იმისთვის, რომ უკრაინელი ბავშვების სამშობლოში დაბრუნება დაბლოკოს".**

მედიასაშუალება რამდენიმე მიზეზს ასახელებს თუ რის გამო სჭირდება კრემლს უკრაინელი ბავშვები. ამასთან, მედიასაშუალება აღნიშნავს, რომ რუსულ ოჯახებს მერკანტილური ინტერესი აქვთ და ისინი იმ შემთხვევაში თუ უკრაინელ ბავშვებს იშვილებენ, ფულად სარგებელს და საცხოვრებელ ბინას მიიღებენ.

**რუსეთის ფედერაციას გატაცებული უკრაინელი ბავშვები პოლიტიკური და დემოგრაფიული მიზნებისთვის სჭირდება. უკრაინელი ბავშვების შვილად აყვანის პროცესის სქემებში ჩართულები „კარგ" ფულს შოულობენ. იქამდე სანამ ჰააგა რუსეთის პრეზიდენტის დაკავების ორდერს გასცემდა, მანამდე 6000-ზე მეტი უკრაინელი ბავშვის გატაცების ფაქტი დადასტურდა. ახლა ეს მასშტაბები 16 226-მდე გაიზარდა. უკრაინის ხელისუფლებამ 10 513 ბავშვის ადგილსამყოფელი იცის. სამწუხაროდ უფრო რთულია იმ ბავშვების დახსნა და გადარჩენა, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ სკოლა ინტერნატებსა და ბანაკებში მოათავსა. ისინი უკრაინელ ბავშვებს „ტვინებს ურეცხავენ". ასეთი დამუშავების შემდეგ, თავად უკრაინელი ბავშვები უარს ამბობენ სამშობლოში დაბრუნებაზე. რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სამშობლოში უკრაინელი ბავშვების დაბრუნება დაბლოკოს. ძალიან ბევრ ბავშვს მალავს. უკრაინელი ბავშვების უკრაინაში დაბრუნება სულ უფრო რთული ხდება".**

## უზბეკი ჟურნალისტები აჭარას სტუმრობენ

**აჭარაში მოგზაურობის შესახებ უზბეკი ჟურნალისტები სტატიებს, რეპორტაჟებსა და ბლოგებს ამზადებენ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული პრესტურის მონაწილეებმა უკვე მოინახულეს ბათუმის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობები, მთიანი აჭარა, მტირალას ეროვნული პარკი, პეტრას ციხე, ძმები ნობელების და ეთნოგრაფიული მუზეუმები. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვიზიტისას ჟურნალისტები იქ არსებულ ტურისტულ სერვისებსა და უნიკალურ ბუნებას გაეცნენ. ინფორმაციას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ავრცელებს.**



უზბეკეთი აჭარისთვის საინტერესო ტურისტული მიმართულებაა, საიდანაც ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები ხორციელდება. ავიაკომპანია Uzbekistan Airways-მა ტაშკენტი-ბათუმის მიმართულებით ფრენები 21 მაისიდან განაახლა და კვირაში ორი სიხშირით სეზონის განმავლობაში იფრენს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში უცხოელი ჟურნალისტებისა და ტუროპერატორების მოწვევას წლის განმავლობაში აქტიურად გააგრძელებს. ამ ეტაპზე ბათუმს უკვე სტუმრობდა ყაზახი, არაბი, ებრაელი, სამხრეთ კორეელი, სერბი ჟურნალისტები და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები. უზბეკი ჟურნალისტები რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ავიაკომპანია Uzbekistan Airways-ის ორგანიზებით სტუმრობდნენ.

## სკორსეზე მაცხოვარზე ფილმის გადაღებას იწყებს

**რეჟისორი მარტინ სკორსეზე იესო ქრისტეზე კიდევ ერთ ფილმს გადაიღებს.**

სკორსეზემ სურათი ვატიკანში, რომის პაპთან შეხვედრის შემდეგ დააანონსა.

**„რომის პაპი ხელოვნების მოღვაწეებისადმი მიმართვას ჩემთვის ერთადერთი ნაცნობი გზით გამოვეხმაურე – მოვიფიქრე იესოს შესახებ ფილმის სცენარი",** – განაცხადა სკორსეზემ და დასძინა, რომ გადაღებების დასაწყებად უკვე მზადაა.

**სკორსეზემ სცენარზე მუშაობა პაპ ფრანცისკეს სიტყვების – „ნება მოგვეცი იესო დავინახოთ" შემდეგ დაიწყო. ამ ეტაპზე უცნობია ფილმის სიუჟეტი და ის თუ ვინ შეასრულებს ქრისტეს როლს. 1988 წელს სკორსეზემ გადაიღო ფილმი „ქრისტეს ბოლო ცდუნება", რომლის სცენარიც ბერძენი მწერლის, ნიკოს კაზანძაკისის რომანზე იყო დაფუძნებული.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 5 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5972; ევრო - 2.7733;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2122;
100 რუბლი - 3.2110; თურქული ლირა - 0.1271;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5221;
1000 სომხური დრამი - 6.7101

**ამინდი 1 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +25 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +15, | დღე +29 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge